საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჯიბეებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 19 ივნისი, 2015 წელი.

№112 (7757)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

სააკაშვილმა წლები მოანდომა ნათელაშვილის დონემდე დაშვებას, ალასანიას კი საამისოდ თვეებიც არ დასჭირვებია

ეს განაცხადა ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ირაკლი ალასანია „ისევ ბლეფშია და ცრუობს“. ე.წ. კაბელების საქმეზე საუბრისას ივანიშვილმა განაცხადა, გასაოცარი იყო, რომ ირაკლი ალასანია, რომელიც „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარეობიდან გადადგა და განაცხადა, რომ მთელი ქვეყნის თავდაცვის მინისტრია და არა ერთი პარტიის, მას შემდეგ, რაც ივნისში პროკურატურა შევიდა მის უწყებაში, სექტემბერში პარტიის ლიდერად დაბრუნების თაობაზე გააკეთა განცხადება.

„დღეს უკვე ნათელი ხდება, რატომ გააკეთა ეს. მან დაგეგმა, რომ პოლიტიკაში გადაეტანა ის, რაც ხდებოდა თავდაცვის სამინისტროში და პოლიტიკური სპეკულაციებით გადაეფარა ის, რაც თავდაცვის სამინისტროში, სავარაუდოდ, ხდებოდა. ნებისმიერ სამინისტროში შეიძლება, დღესაც იყოს პროკურატურა, ეს არ არის საოცრება. თავდაცვის მინისტრის, რომელიც გუნდის წევრია, მოვალეობა იყო, ხელი შეეწყო გამოძიებისთვის. თუ არ აშფოთებდა, პოლიტიკურად აბსოლუტურად არათანმიმდევრული იყო მისი განცხადება, რომ პარტიის ლიდერად დაბრუნდება. იმის შემდეგ მოხდა დაჭერები. დაჭერების შემდგომაც, ნაცვლად იმისა, რომ გამოსულიყო სახელმწიფო მოღვაწე, კაცი, რომელსაც პრეტენზია აქვს ქვეყნის მმართველობაზე, და ხელი შეეწყო ხელისუფლებისთვის, დაუპირისპირდა პროკურატურას, თუმცა, ვერც ერთი ფაქტი ვერ დასახელდა, რომ პროკურატურას კანონი დაერღვია. განცხადება გააკეთა, რომ საქართველო ევროატლანტიკურ კურსს იცვლის, გადადგნენ მისი მეგობარი მინისტრები — ანეკდოტური სიტუაციაა. საჭე თვითონ ეჭირათ და მიატოვეს საჭე და გადადგნენ და თქვეს, კურსს იცვლის მთავრობაო. და ჰგონიათ, რომ საზოგადოება ამას ჭამს, უკაცრავად ამ სიტყვებისთვის“, — განაცხადა ივანიშვილმა.

კიდევ ერთი სიცრუე ალასანიას მხრიდან, ივანიშვილის თქმით, ექსპერტის „მოტაცება“ იყო. ივანიშვილმა ასევე გაიხსენა საფრანგეთთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხი და აღნიშნა, რომ ალასანია „საოცარ კონტრაქტს აწერდა ხელს“.

„ქვეყანა გადარჩენილი იყო, ისეთ კონტრაქტს აწერდა ხელს. ამ დროს ურთიერთგაგების მემორანდუმის პარაფირებაზე იყო საუბარი მხოლოდ და არა კონტრაქტს აფორმებდა. მერე დეტალების გამოტანა, რაც იმ დროს არ იყო საინტერესო და საიდუმლო უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ თქვა, თითქოს მოსამართლეებზე ზეწოლას ვახდენ. პირადული მე ალასანიასთან არასოდეს მქონია და არც დღეს გამაჩნია. რამდენჯერმე თქვა, რომ ე.წ. კაბელების საქმეზე დაკავებულები არიან ივანიშვილის პირადი პატიმრები, იყო შეურაცხყოფა მაფიოზობაზე“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, ცოტა ხნის წინათ ჰკითხეს ალასანიასა და ბოკერიას გაერთიანებაზე, რის შესახებაც ინფორმაცია არა აქვს, თუმცა, იდეოლოგიით ისინი უკვე ერთიანი არიან. ივანიშვილის თქმით, ალასანია „ნაციონალების“ თამაშს უნიჭოდ იმეორებს.

„ეს კაცი რასაც უნდა იმას ამბობს და ანგარიშს არ უწევს საკუთარ სიტყვებს, ჰგონია, რომ საზოგადოება ამას გადაყლაპავს და გახდება ლიდერი. ხალხს აგულიანებენ, რომ აი, ჩვენ მოვალთ და დავსჯითო. როგორ უნდა მოვიდეს ასეთი კაცი? არ მიიღებს საზოგადოება ასეთ კაცს. მეც ვარ ამ საზოგადოების წევრი და მეც ჩემს სიტყვას ვიტყვი“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ექსპრემიერი ე.წ. კაბელების საქმეზე ბრალდებულთათვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე პროკურატურის გადაწყვეტილებას მიესალმება.

ივანიშვილის თქმით, ეს არის პროკურატურის კეთილი ნება, რომელიც წასახალისებელია.

„პროკურატურამ განაცხადა, რომ ძიების პროცესი დასრულა და საჭიროდ არ თვლის, მათ პატიმრობაში ყოფნას. ძირითადი სასამართლო პროცესი დაიწყება და სასამართლო გამოიტანს განაჩენს. მე მივესალმები პროკურატურის ამ გადაწყვეტილებას, ოღონდაც ალასანიას რა უხარია და რა შუაშია აქ, ვერ გავიგე. რა, გაიმარჯვა?! სად გაიმარჯვა?! კარგი იქნება მომავლისთვის, თუ კანონმდებლები დააჩქარებენ და დანერგავენ ე.წ. თეთრი საყელოს პრინციპს, რომ თუ მსჯავრდებული სახიფათო არ არის, პროკურატურამ წინასწარი პატიმრობა არ მოითხოვოს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

„არჩევანი“ — სტიქიის პოლიტიკური გაგრძელება

③

გიორგი გაბუნია აბრუნდის დიდოსტატია!..

პეტრე მამრაძე: ქვეყანას 14 მილიარდ დოლარამდე ვალი დაუტოვეს და კიდევ ყელყელაობენ ნაცები?!

④

მტკვარში წყლის გათბობა და მტირალას მთის მოთხრა — ნაციონალების განუხორციელებელი პროექტები

საპატრიარქოს განცხადება

„ა.წ. 17 ივნისს საქართველოს საპატრიარქოს მიერ წარგზავნილმა სასულიერო პირებმა მოინახულეს რვა სასტუმროში დაბინავებული 13 ივნისს სტიქიით დაზარალებულნი და შეაგროვეს ინფორმაცია მათ შესახებ, მაგრამ ვინაიდან არ გვაქვს მონაცემები იმ ოჯახების შესახებ, რომელთაც თავი შეაფარეს ნათესავებსა და ახლობლებს, ამიტომაც, ასეთ მდგომარეობაში მყოფთ ვთხოვთ, დაუკავშირდნენ მოძღვრებს შემდეგ ტელეფონებზე: 595555515 არქიმანდრიტი გაბრიელი; 599178808 არქიმანდრიტი იაკობი“, — ნათქვამია განცხადებაში.

◎ დღის ამოჭრაზურიდან

ყურადღება!

როგორც მერია იუწყება, თბილისელებს ქალაქში მოძრაობისას მეტი სიფხიზლის გამოჩენა მართებთ, რადგან თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ მოსალოდნელია, რომ სტიქიის შემდეგ ზოოპარკიდან გამოქცეულ ცხოველებს გადავაწყდეთ. დღემდე მოსახლეობისთვის საშიშროებას წარმოადგენს სამი ცხოველი — უპარტიო თეთრი ვეფხვი, ჭრელი აფთარი და პარტიული მელოტი მელია.

წინ, საქართველო!

ბაქოში მიმდინარე პირველ ევროპულ სპორტულ თამაშებზე გუშინ სამი მედლით გავიმდიდრეთ კოლექცია, რამაც ქართულ დელეგაციას წამყვან ოცეულში დაუმკვიდრა ადგილი.

Baku 2015
1st EUROPEAN GAMES

„ვერცხლი“ — ბექა ლომთაძე (61 კგ).

„ბრინჯაო“ — ალექსანდრე ამინაშვილი (70 კგ). მან ეს ჯილდო ტრავმირებულმა მოიპოვა!

გენო პეტრიაშვილი (125 კგ).

გუშინვე მოკრივეთა ტურნირში პირველი ბრძოლა მოიგო **მიხეილ ბახტიძემ.**

ილია მეორემ „მზიურის“ ტერიტორიაზე მომუშავე მოხალისეები დალოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გუშინ „მზიურის“ ტერიტორიაზე იმყოფებოდა, სადაც მოხალისეებისა და სამხედრო ნაწილების მიერ ტერიტორიის დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობს.

პატრიარქი, სასულიერო პირებთან ერთად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს გაეცნო და მოხალისეები დალოცა.

პატრიარქს „მზიურის“ ტერიტორიაზე კომენტარი არ გაუკეთებია. იგი ხილიანზე გაემართა, სადაც წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძარში სტიქიის შედეგად ერთ-ერთი გარდაცვლილი იყო დასვენებული.

ამასთან, საპატრიარქოს წარმომადგენლები, სასულიერო პირები მივიდნენ იმ სასტუმროებში, სადაც სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებია.

მიტროპოლიტმა ანდრიამ საუბრისას განაცხადა, რომ, როდესაც მოხდება სტიქიით დაზარალებულთა ზუსტი აღრიცხვა, საპატრიარქო ყველა დაზარალებულს დაეხმარება, ყველა მათგანზე განაწილდება დახმარება, რომელიც საპატრიარქოში გროვდება.

ხილიანზე, წმინდა ბარბარეს სახელობის ტაძრიდან უწმინდესი ვარკეთილში, წმინდა გიორგის ტაძარში მიბრძანდა, სადაც ასევე სტიქიის შედეგად გარდაცვლილი იყო დასვენებული.

◎ სხვათა შორის

შანსი მიეცათ და...

მაინც, რა სულზე მოუსწრო ამ ჩვენ სანაცეთს სტიქიურმა უბედურებამ. ჯერ ისე ხომ იკლებდნენ ტელეეკრანებიდან მადლიერი მოსახლეობის დამოძღვრას, ამ კვირაში კი სულ აიშვეს და ლამისაა ყველა ამქვეყნიური (იმქვეყნიურიც) ცოდვა ისედაც საკუთარი კოჰაბიტაციურობით სულდამძიმებულ ქოცებს აჰკიდონ.

აი, გუშინაც, ჩემდა ჭირად, თბილისის საკრებულოსთან გავლილი ასეთ ეპიზოდს შევესწარი: თავიანთი სატელიტი „რუსთავი-2“-ის ლოგოთი დამშვენებული მიკროფონების წინაშე მოყელყელავე მელიასევდიას შეხმატკბილებულ დუეტს ერთმა მხარბეჭიანმა ყმაწვილმა ჯერ მასხარები უწოდა, ხოლო შემდეგ სულაც დაუკრეფავში გადავიდა და მამაპაპურად „დალოცა“.

მიდი და გაამტყუნე!

ბეჟან დოლიძე

ვერეს ხეობა ახლებურად დაიგეგმება

ვერეს ხეობის ახლებურად დაგეგმარების მიზნით მთავრობა სახელმწიფო კომისიას ქმნის. შესაბამისი განცხადება საგანგებო შტაბის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა.

მისივე ინფორმაციით, კომისიას თავად უხელმძღვანელებს, მის მუშაობაში კი მსოფლიოში ცნობილი კომპანიები და ექსპერტები ჩაერთვებიან.

„სტიქიის შედეგების დროული და ეფექტური აღმოფხვრის პარალელურად ჩვენ უნდა ვიფიქროთ და ვიმუშაოთ მისი გამომწვევი მიზეზების შესწავლაზე. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავადგინოთ, თუ როგორ უნდა დაგეგმარდეს ვერეს ხეობა. ნახევარ საუკუნეზე მეტია არსებულ პრობლემას ვაკვირდებით, თუმცა, მის აღმოსაფხვრელად არც ერთი ხელისუფლება არ რეაგირებდა ადეკვატურად. ჩვენ გვქონდა შეხვედრა ექსპერტებთან, რომლებმაც საკმაოდ ვრცელი და დეტალური პრეზენტაცია წარმოგვიდგინეს. მდინარე ვერე საკმაოდ რთული მდინარეა. სამწუხაროდ, ბოლო მთავრობებმა პირდაპირ ბრძოლა გამოუცხადეს ბუნებას, ეს კი ძალიან დიდი შეცდომა იყო. ამის ნათელი დადასტურებაა წინა მთავრობის, კერძოდ, ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილისა და მისი გუნდის გაუგებარი ახირება, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რაც მოხდა. სწორედ მსგავსი კატასტროფის თავიდან აცილების მიზნით ჩვენ დღეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სწორად და აღარ გავიმეოროთ შეცდომები.

დაპირებისამებრ, ჩვენ ვქმნით სახელმწიფო კომისიას, რომელშიც ჩაერთვებიან მოწვეული უცხოელი და ქართველი სპეციალისტები, გეოლოგები, არქეოლოგები, ურბანისტები და სხვა სპეციალისტები, რათა თითოეულ დეტალზე მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური დასკვნა მომზადდეს და ამის შემდეგ დავიწყოთ სამუშაოები“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მდინარისა და ხეობის პრობლემის მოგვარებაზე სახელმწიფო ერთხელ და სამუდამოდ იწყებს ძირეული პროექტის განხორციელებას, რათა მსგავსი კატასტროფა აღარასდროს განმეორდეს და ყველა შესაძლო რისკი მინიმუმამდე შემცირდეს.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მეუღლესთან ერთად ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ გზასთან გაკეთებული სიმბოლური მემორიალი ყვავილებით შეამკო და სტიქიის შედეგად გარდაცვლილების ხსოვნას პატივი მიაგო.

„მე მინდა კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო გარდაცვლილების ოჯახებს. ეს ძალიან დიდი ტრაგედია იყო ჩვენთვის, ყველასთვის. მე როგორც ვიცი, გუშინ დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდები. მე მინისტრები გავაგზავნე ყველა ოჯახში და ჩვენ ყველანი ვგლოვობთ ამ საშინელ ტრაგედიას“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, თბილისის მერიას და საკრებულოს აქვთ ინიციატივა, რომ ამ ადგილზე გაიხსნას სიმბოლური მემორიალი იმისთვის, რომ ჩვენ დავაფასოთ და მოვიხსენიოთ მათი სულები ყოველთვის.

პრემიერთან ერთად სიმბოლური მემორიალი ყვავილებით შეამკეს თბილისის მერმა დავით ნარმანიამ და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილმა.

სოლიდარობა, კიდევ უფრო რომ გამოგვაფხიზლებს და შეგვაკავშირებს

„ამ დღეს ველოდი, მოვესწარ! ვიცინი, აღარ ვტირი მე. ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ გამოდით, თქვენი ჭირიმე“!

აკაკი წერეთელი

სტიქიური **უბედურება, რომელიც თავს დაგვატყდა 13-14 ივნისის ღამეს, რომელმაც ჩვენი თანამემამულეების სიცოცხლე იმსხვერპლა, არავის უნდა ეგონოს, რომ ეს „ჩვეულებრივი“ სტიქიური მოვლენა იყო და მისი ლიკვიდაციის შემდეგ „ჩვეულებრივად“ გაგრძელდება ცხოვრება! განსაკუთრებით კი, ასე არ უნდა იფიქროს ახლანდელმა ხელისუფლებამ, მით უმეტეს წინამორბედმა და, ზოგადად, ქართულმა პოლიტიკურმა კლასმა!** რატომ? იმიტომ, რომ ის სოლიდარობა, რომელსაც ამ დღეებში და ამ საათებში ავლენს ქართველი საზოგადოება, ჩვენი საამაყო ახალგაზრდები, მიგვანიშნებს იმაზე, რომ — 14 ივნისის ტრაგიკული ღამე წყალგამყოფი გახდა ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის და რომ უწინდებურად ცხოვრება აღარ შეიძლება! თითქოს და, სტიქია რა შუაშიაო იტყვის მავანი, მაგრამ, „რაღაც“ რომ კარგად ვერ და არ არის ჩვენს ქვეყანაში, ეს ხომ ამ ტრაგედიამაც დაგვანახა... დიახ, სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე ძირეული ცვლილებებია საჭირო, მათ შორის საკადრო, — აზროვნებაში, საქმიანობაში, ზნეობაში! ეს ეხება ყველას და ყველაფერს, უწინარესად მათ, ვინც მართავს ქართულ სახელმწიფოს და ვისაც მომავალში მმართველობაში მოსვლა სწადია! ქართულ პოლიტიკურ სპექტრს დიდი გამოცდის პერიოდი დაუდგა და თუ ისინი ამას ვერ გააცნობიერებენ, მაშინ ჩათვალეთ, რომ მათ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში არანაირი შანსი არ ექნებათ! დარწმუნებული ვარ, რომ 13-14 ივნისის ტრაგედიამ, ლაფში და შლამში ჩაძირულმა თბილისის გულმა მთელი საქართველო გამოაფხიზლა და შეაკავშირა, უწინარესად კი, ქართველი ახალგაზრდობა! დიახ, ქართველი ხალხი ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, „ლაფში და შლამში მოტივტივე“ პოლიტელიტას აღარ მიიღებს და თავისი წიაღიდან გამოაჩენს „დამყაყებულ პოლიტიკურ სტიქიასთან“ მებრძოლ, სუფთა და მართალ ახალ პოლიტიკურ ძალას, რომლის მთავარი დასაყრდენი იქნება ის ათასობით ახალგაზრდა, რომელიც დამოუკიდებლად, — პირადი გულისძახილით „გამოვიდა“ საკუთარი სამშობლოს არამარტო „დასასუფთავებლად“, არამედ განსაახლებლად!!!...

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

პრეზიდენტმა სტიქიის შედეგად დაზარალებული ბავშვების მამა შეინყალა

ამის შესახებ ინფორმაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში დაადასტურეს. უწყების ინფორმაციით, მსჯავრდებული უკვე სახლშია. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში მსჯავრდებულის ვინაობას არ ასახელებენ, თუმცა, აცხადებენ, რომ იგი მსუბუქი დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა სტიქიით დევნილ დამფრთხალ, სასტუმროში შეფარებულ ბავშვებს მსჯავრდებული მამა მიუყვანა და დიასახლისს თავისი ხელფასი გადასცა.

პრემიერ-მინისტრისა და მინისტრის გადაწყვეტილებით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ პრეზიდენტს აღნიშნული მსჯავრდებულის შეწყალების თხოვნით მიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილი მუსლიმ თანამოქალაქეებს წმინდა რამადანის თვის დაწყებას ულოცავს

„მინდა მთელი სულითა და გულით მივულოცო ჩვენს მუსლიმან თანამოქალაქეებს წმინდა რამადანის თვის დაწყება! ეს წმინდა თვე სრულიად განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია თითოეული მუსლიმანისთვის. ვუსურვებ ყველა მათგანს და მათ ოჯახებს მშვიდობას, ჯანმრთელობას და კეთილდღეობას. საუკუნეებია ჩვენ ერთად ვართ ჭირსა თუ ლხინში, ერთად ვაშენებთ ჩვენ მომავალს, და მჯერა, ჩვენ ყველა ერთად ვიცხოვრებთ ერთიან და ძლიერ საქართველოში“, — აღნიშნულია მილოცვაში.

ბიძინა ივანიშვილი: არ გავჩერდები და თამასის დაბლა დაწევას არავის ვაპატიებ!

ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ის პოლიტიკაში იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ მთავრობამ საზოგადოების მოსმენა შეწყვიტა და არსებული ბალანსი დაირღვა. თუმცა, ივანიშვილის თქმით, მოვლენების ასეთი განვითარების საჭიროებას ვერ ხედავს და საზოგადოებას შეუძლია ჩათვალოს, რომ ის პოლიტიკაში არ ბრუნდება.

რაც შეეხება ბრალდებებს ხელისუფლების კულისებიდან მართვის თაობაზე, ივანიშვილი აცხადებს, რომ მის სიტყვას აქვს ფასი და ამას ეძახიან კულისებიდან მართვას, რაც ასე არ არის.

ექსპრემიერი ხაზს უსვამს, რომ მთავრობის წევრები მას ანგარიშს უწევენ და უნდა გაუწიონ კიდეც.

„მე მგონია, რომ პოლიტიკაში ჩემი დაბრუნების სიტუაცია არ არის, ხშირად განმიცხადებია და გავიმეორებ დღესაც, უნდა მოხდეს რაღაც ცუდი პოლიტიკური სიტუაცია, უნდა დავინახოთ, რომ საზოგადოება ვერ ახერხებს კონტროლს და ხელისუფლება გავიდა თამაშიდან, როგორც ეს მოხდა ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში. თუ მსგავსი უბედურება მოხდა, ასეთ შემთხვევაში, შეიძლება მომიწიოს პოლიტიკაში დაბრუნება. საბედნიეროდ, ამის ნიშნებს ვერ ვხედავთ. თამასა ძალიან მაღლაა აწეული. ვინც ვერ შეინარჩუნებს ჩემი პრემიერობის დროს დატოვებულ თამასას, მე, რა თქმა უნდა, არ გავჩერდები და თამასის დაბლა დაწევას არავის ვაპატიებ. ეს აშფოთებთ, ამ ჩრდილს ხედავენ, რომ მე ხმას ამოვიღებ მათ დარღვევებზე, ეს აქვთ მხედველობაში და ეძახიან მართვას, მაგრამ ეს არ არის მართვა“, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, თვეში ერთხელ რჩევის მიცემა მთელს ევროპასა და მსოფლიოში მიღებულია.

„არჩევანი“ – სტიქიის პოლიტიკური გაგრძელება

...**დღემდე** არსებულთა შორის ვერც ერთი გარეწარი ადვოკატი ვერ მოუძებნიდა გამართლებას ნიკა გვარამიას არსებობას, გიორგი გაბუნიას არსებობას, საერთოდ, „რუსთავი-2“-ის არსებობას.

არაადამიანური სიცრუის, ძალადობის, ავაზაკობის, საკუთარი მაყურებლის გაბითურება-გამოთაყვანების, ხელისუფლებისა და საპარლამენტო უმრავლესობის, იმათი ამომრჩეველი ხალხის ლანძღვა-გინების, ერის არასრულფასოვნად წარმოჩენის, ივანიშვილის, ღარიბაშვილის, ნარმანიას და სხვათა „უსუსურობის“, „უნიათობის“, „შიზოფრენიის“, „მარაზმის“, „უვიცობის“ დამტკიცების ავადმყოფური მცდელობის მოლაქლაქე პანდორას ყუთი – **აი „რუსთავი-2“-ის ფსიქოლოგიური პორტრეტის მთავარი შტრიხები.**

ქართული მედიასივრცის გამრყვნელი კერძო, კომერციული ტელევიზია ბოლო 10-12 წელიწადია ქართველი ნაცისტების, აბსოლუტურად არაადეკვატური, პოლიტიკურად და ზნეობრივად დამახინჯებული მიხეილ სააკაშვილის და იმისი კორუმპირებული ბანდის მთავარ იდეოლოგად იქცა.

ოღონდ საკუთარი თავი დაიმკვიდროს, შემზარავად იყელყელაოს და იტრაბახოს, – ოღონ მთავარი დამფინანსებლის გული მოიგოს (ყველასთვის ცნობილია, რომ „რუსთავი-2“-ს ნაციონალები „შავი ფულით“ აფინანსებენ!), ტელეკომპანია ქვეყნის საერთო ტრაგედიის, სტიქიის, ყველაფრის წამლეკავი მეწყრის დროსაც ულამაზეს ქართულ სიტყვას და თანამედროვე სატელევიზიო ტექნიკურ შესაძლებლობებს, ისევ და ისევ ერის დაქუცმაცების, ხელისუფლების გაქიაქება-გაშავებისა და ნაციონალების გათეთრების საშუალებად იყენებს.

არაერთხელ მითძვამს და კვლავაც ვიმეორებ: „რუსთავი-2“ ჟურნალისტური სფეროს, კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ერის განათლებისა და ამაღლებისთვის განკუთვნილი ტელეკომპანია კი არ არის, არამედ ქართველ ხალხის მომწამვლელი, სულიერად დამთრგუნველი, „ოცნების“ ხელისუფლების დამხობის მოსურნე კანტორაა. თანაც უსინდისო, გულღრძო, არამზადა, ფულზე გაყიდული წამყვანები და რიგითი რეპორტიორ-ჟურნალისტებით სავსე.

ვინაც წვერიანი, თეთრი კონჩიტას – გიორგი გაბუნიას ბოლო დღეების „არჩევანი“ (ზედიზედ სამი დღე) ნახა, თითოეულ „რუსთავიორელს“, ეკუთვნოდა თუ არ ეკუთვნოდა, ან წყევლიდა ან დედას აგინებდა.

მკითხველთან ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ სრულყოფილად უნდა შემოგთავაზოთ საოცრად მართალი და ვაჟკაცი ბიჭის, მომღერალ ოთო ნემსაძის პატარა შეფასება დატრიალებული ტრაგედიის გამო, გაპოლიტიკოსებული, ჩათლახი ნაცჟურნალისტების გამო: **„მე მაინც ვერ გავიგე რაღაც, ხომ ხედავთ, როგორი ერთსულოვანია ყველა და ხომ ხედავთ, რა მაგრად ჰკიდია ხალხს ეს პოლიტიკა... ხომ ხედავთ, რა უბედურ დღეშიც ვართ, ხომ ხედავთ, რომ ძლივს საქართველო ერთსულოვანია (სამწუხაროდ, უბედურებაში), ნუ გაგვიტრაკეთ ამ პოლიტიკით, შეგვეშვით ცოტა ხანი, თქვენი დედები“...** – წერს სოციალურ ქსელში ოთო ნემსაძე.

დღეს ასე ფიქრობს თითქმის ყველა ქართველი ახალგაზრდა (ახალგაზრდებიცა, „რუსთავიორელებო!“ და მიშას ნაცისტებო)!

გიორგი გაბუნია აბრუნდის დიდოსტატია!..

17 ივნისს, ოთხშაბათ საღამოს, „წვერიანმა კონჩიტამ“ შეკრიბა „სახელოვანი“ ქართველი პოლიტიკოს-პოლემისტები – ნინო ლომჯარია, ნინია კაკაბაძე, ლევან ბუთხუზი (ზოოპარკის ცოცხალ-მკვდარი მხეცების მომთვინიერებელი!), ნინო დანელია, ფიქრია ჩიხრაძე და ნაფტალინიდან ამოღებული იგორისტი (იგორ გიორგაძეს ვგულისხმობ!) ირინა სარიშვილი... ამ ცოდვის შვილებს დაემატნენ გარედან ჩართული მოწინავე კომკავშირელი ირაკლი ალასანია და შევარდნაძის დროიდან საქართველოს „გამბრწყინებელი“, გულდამწვარი ნაციონალი გოკა გაბაშვილი.

ყველამ ერთად და ცალ-ცალკე, ამ ცოდვის შვილებმა ჭიქაში ქარიშხალი დაატრიალეს: ვითომცდა, ზურაბ გურიელიძეს (ზოოპარკის დირექტორს) ექომაგებოდნენ, პროკურატურაში რატომ დაიბარესო, მინდია ჯანელიძე და ჯარი რას აკეთებდაო, ალბინოსი ვეფხვი რატომ ადრე არ გაანადგურესო, ხელისუფლება აღარ არსებობსო, უნიათო და უსუსური კი არა, საერთოდ აღარ არსებობსო!

წამყვანი კონჩიტა, როგორც ყოველთვის, საუბარში ხშირად ერთვებოდა და ჭრილობაზე მარილს უმატებდა.

არადა, მანამდე, ერთი საათის წინ „კურიერში“ საგანგებო შტაბის მორიგი სხდომა უჩვენეს, სადაც პრემიერი ადამიანურად საყვედურობდა გურიელიძის მხარდამჭერი მიტინგის ორგანიზატორებს, არავინ არ აპირებს მის დაპატიმრებასო, და ზურაბ გურიელიძის პროფესიონალიზმს აქებდა...

თუმღაცა, გურიელიძის ამდენი ქება ნამდვილად არ იყო საჭირო, რადგანაც სწორედ მან განუცხადა მოსახლეობასა და მთავრობას, ქალაქში მტაცებლები არ არიანო!!!.

ნინო ლომჯარიასგან, კომკავშირელი ირაკლისგან, განათლებული, მაგრამ არამზადა გოკასგან, ნინია კაკაბაძისგან, ნინო დანელიასგანაც დღევანდელი ხელისუფლების ლანძღვა-გინება არ გამკვირვებია, მაგრამ... ირინა სარიშვილის „კლიმაქსიანი“ გამონათქვამები და მიუტევებელი უმადურობა საოცრად გამაღიზიანებელი იყო...

ირინა სარიშვილის ბოლო ფრაზა უნდა შეგახსენოთ: **„არ გაგიკვირდეთ, ბიძინა ივანიშვილი ახლა ზოოპარკის მითვისებისთვის საბუთებს რომ იფორმებდეს!..“**

ტრაგედიის მეორე დღესვე ბიძინა ივანიშვილმა ინტერნეტში განცხადება გამოაქვეყნა, სადაც გარკვევით ეწერა, რომ სტიქიას ერთობით და თანადგომით დავძლევთ, მე კი დედაქალაქს ახალი ზოოპარკის შენებაში აუცილებლად დავეხმარებიო! მის გუშინდელ განცხადებებს კი დღეს გთავაზობთ ჩვენი გაზეთი.

გაბუნია „სტუმრებს“ დაჟინებით ეკითხებოდა, ივანიშვილი რატომ არ ჩანს, თქვენ რას ფიქრობთო!, რამე აუგი მითხარითო!..

„სტუმრების“ უმრავლესობამ, არ ვიცით, სად არის და მკითხაობას ვერ დავიწყებთო, ირინა სარიშვილმა კი „კრიტიკის ქარცეცხლში“ გაატარა ივანიშვილი.

რა ჰქვია ამას, მართლაც არარაობა სარიშვილო, რატომ გადააჭარბა შენმა უზნეობამ სააკაშვილის, გვარამიას და გიორგი გაბუნიას უზნეობას? ამ სიბერეში რატომ ზიხარ ტყემლის ტოტზე და რატომ იგესლები?

ამ დროს კი ნაცების მიერ დარბეული ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გადიოდა ეკა ხოფერიას მშვენიერი სანახაობა („თოძშოუ“), სახელდახელო დახმარება დაზარალებულ თბილისს – „იმედის“ მარათონი, რომელშიც ასობით და ათასობით ადამიანმა დარეკა და მილიონობით ლარი გადაურიცხა დაზარალებულთა და გარდაცვლილთა ოჯახებს. თვით სტუდიაში კი რამდენიმე უცხოელი ბიზნესმენი იჯდა, რომლებმაც გულწრფელად შეაძეს ქართველთა ერთსულოვნება და საკუთარი სოლიდური წვლილი გაიღეს პარტნიორი ქვეყნის დასახმარებლად.

ასევე იქცეოდა და იქცევა საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტელეკომპანია „მაესტრო“ „ობიექტივი“ და სხვები.

მხოლოდ სტიქიის პოლიტიკური (ნაციონალური პოლიტიკის) გაგრძელება – „რუსთავი-2“ და მისი „არჩევანი“, როგორც დიდი ილია ერთგან წერდა – აბრუნდის (ჟურნალისტური თაღლითობის, ხრიკების) გზით მიდის და ძირს უთხრის საქართველოს სახელმწიფოებრიობას!

სრულიად სერიოზულად მინდა ვკითხო ჩვენს ხელისუფლებას და კარგად დაფინანსებულ კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას: როცა ერთი კერძო ტელევიზია თავისუფალი სიტყვისა და გამოხატვის უფლების ნიღბით ძვეყნის არსებობას უძმნის საფრთხეს, ერს ხლეჩს და პარტიული ნიშნით ხალხს ერთმანეთთან აპირისპირებს, ასე გულხელდაკრეფილი უნდა უძცინროთ?

ამას მართლა უსუსურობა და უნიათობა ხომ არ ჰქვია!

სპარტაკ ქობულია

⊙ სტიქიის შემდეგ

საჭიროების შემთხვევაში, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხას ბიძინა ივანიშვილიც გამოყოფს

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ საჭირო თანხას, რომელსაც ხელისუფლება, ბიზნესმენები და საზოგადოება ვერ მოიძიებენ, ბიძინა ივანიშვილი გამოყოფს. ამასთან, ბიძინა ივანიშვილმა მადლობა გადაუხადა ყველა იმ ბიზნესმენს თუ კერძო პირს, ვინც თანხები გადარიცხა სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად და ეს თანხა, ივანიშვილის ინფორმაციით, 5 მილიონზე მეტს შეადგენს.

„მე ვესაუბრე ფინანსთა მინისტრს, მაინტერესებდა, როგორ აქვს ფინანსური მიმართულებით საქმე, არ აქვს სახარბიელო მდგომარეობა. ყველამ თავის საქმე უნდა გააკეთოს. ეს მთავრობის საქმეა, რესურსების მოძიება და იგი ამას აქტიურად ცდილობს, რასაც ვერ შეძლებენ, ჩათვალეთ, რომ ჩემი სახით დაზღვევა აქვთ და ყველა თანხა გაიჩნიათ“, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

იაპონია ქართველ ხალხს უსამძიმრებს

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანი, იასუჰისა კავამურა თბილისში მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, პრესმდივანი მწუხარებას გამოთქვამს ძლიერი წვიმის შედეგად საქართველოს დედაქალაქისთვის მიყენებული ზარალის გამო.

„ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს. ასევე თანაგრძნობა მინდა გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც სტიქიის შედეგად დაზარალდა. ვისურვებ, რომ ისინი ცხოვრების ჩვეულ რიტმს რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ“, – ნათქვამია განცხადებაში.

უზბეკეთის პრეზიდენტმა ქართველ კოლეგას მიუსამძიმრა

უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა ქართველ კოლეგას, გიორგი მარგველაშვილს სამძიმრის წერილი გამოუგზავნა. წერილში უზბეკეთის პირველი პირი საქართველოს მოსახლეობას უსამძიმრებს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო.

„ძალიან დამამწუხრა მიღებულმა შეტყობინებამ თბილისში, სტიქიური უბედურების შედეგად დაღუპული ადამიანების შესახებ. გულწრფელ სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებ დაღუპული ადამიანების ოჯახებსა და ახლობლებს“, – ნათქვამია წერილში.

სტიქიით დაზარალებულებს ჩინური კომპანია 80 ათას ლარს გადაურიცხავს

სტიქიის შედეგად დაზარალებულებს ჩინურმა სამშენებლო კომპანიამ 80 ათასი ლარი შესწირა. სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები გმირთა მოედანზე იმყოფებოდნენ და სტიქიის შედეგებს გაეცვნენ.

როგორც საკრებულოს დეპუტატმა გიორგი მუსხელიშვილმა განაცხადა, კომპანიამ საქართველოში წარმომადგენლობა გახსნა, თუმცა ჯერ ინვესტიციების ჩადება არ დაწყებულა.

მუსხელიშვილის თქმით, მათ გადაწყვიტეს, რომ პირველ ეტაპზე დაზარალებულების ანგარიშზე 80 ათასი ლარი გადარიცხონ.

„ეს იქნება კომპანიის პირველი შესაწირი, შემდეგ კი ისინი აღდგენით სამუშაოებში ჩაერთვებიან და ნაწილობრივ თავად დააფინანსებენ, ნაწილობრივ კი სახელმწიფოსთან შეთანხმებით“, – განაცხადა მუსხელიშვილმა.

აღნიშნული ჩინური კომპანია გზებს, ხიდებსა და გვირაბებს აშენებს.

ინტერპრესი

ქვეყანას 14 მილიარდ დოლარამდე ვალი დაუგროვეს და კიდევ ყელყელობენ ნაცები?!

მტკვარში წყლის გათბობა და მტირალას მთის მოთხრა – ნაციონალების განუხორციელებელი პროექტები

საბაკაშვილის დროს რომ მომხდარიყო ეს უბედურება, მიშა იმ ადგილას თავის პატარა კათედრას დააყენებდა, თვითონ მაშველის კომბინიზონში და თავზე კასკით მოგვევლინებოდა და ასე მიმართავდა ერს. გულანთებული განაცხადებდა, რომ ახალმა გზამ და გვირაბებმა ასობით ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა. ეს გავიფიქრე, როდესაც მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარი უბედურების ფონზე „რუსთავი-2“-ის სტუდიის ფერად პოდიუმზე შემდგარი წამყვანები დავინახე.

მსოფლიოს წამყვან ტელეკომპანიებს ხშირად უხდებათ სხვადასხვა კატასტროფის გაშუქება და ყველას გვინახავს, როგორ აკეთებენ ისინი ამას. შეგახსენებთ, რომ კატასტროფები ზოგჯერ ყველაზე მდიდარი და განვითარებული ქვეყნების დედაქალაქებშიც ხდება და ზოგჯერ ასეთ უბედურებებს იქ გაცილებით მეტი ადამიანი ეწირება, ვიდრე ამჟამად ჩვენთან. მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორი რეაგირება ექნებოდათ იქაურ ტელემაყურებლებს, მთლიანად საზოგადოებას, სი-ენ-ენ-ს, ბი-ბი-სი-ს ან ნებისმიერ სხვა ტელეკომპანიას ასეთი შოუ რომ მოეწყო უბედურების ფონზე? ვფიქრობ, ამის წარმოდგენა ძნელი არ არის და სწორედ საზოგადოების გარანტირებული რეაქციის გამო დასავლეთში არცერთი ტელეკომპანია ასეთ რამეს არ აკეთებს. „რუსთავი-2“-ის მუშაკებთან მნიშვნელოვანი პრეტენზია არა მაქვს. **აქ ისევ იმ ერთი კაცის ხელწერა იგრძნობა, რომელსაც აქვს იშვიათი ნიჭი, ფარსად წარმოაჩინოს ყველაფერი, რასაც გაეკარება.**

სწორედ იმ კაცის დავალებით მივიდნენ დავით ბაქრაძე, სანდრა რულოვსი და „გუნდის“ სხვა წევრები ზამთრის ოლიმპიადაზე დაღუპული სპორტსმენის ნოდარ ქუმარიტაშვილის პანაშვიდზე თეთრ ოლიმპიურ კოსტიუმებში გამოწყობილები; **იმ კაცის დავალებით განაცხადა მაშინ სააკაშვილის მონა-მორჩილმა დავით ბაქრაძემ: „ᲓᲦᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜᲒᲐᲜᲘ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲔᲚᲘᲐ“.**

ჩვენი დიდი უბედურება კი ის არის, რომ **9 წლის განმავლობაში კოლინ პაუელის მიერ სი-ენ-ენ-ის პირდაპირ ეთერში „ᲭᲙᲣᲐᲜᲐᲦᲠᲫᲝᲑᲐᲓ“ წოდებული სააკაშვილი** არა მარტო შოუებს დგამდა, არამედ ასეთივე შოუების დონეზე წყვეტდა ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ახლა იმ წლებში ჭკუანაღრძობის და მისი თანამზრახველების მიერ ჩადენილის და ახალი ხელისუფლების უნიათობის ერთობლივ ნაყოფს ვიმკით და ეს წლების განმავლობაში გაგრძელდება.

13 ივნისის უბედურების შემდეგ სააკაშვილის ზოგიერთი თანამზრახველი აცხადებს, რომ ახალი გზის და გვირაბების გაყვანას არავითარი უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია და ყველაფერი სტიქიის ბრმა ძალით არის გამოწვეული. ცხადია, მხოლოდ პროფესიონალებისაგან შემდგარ კომისიას შესაბამისი კვლევის შემდეგ შეუძლია დაასკვნას, თუ რამდენად დაამძიმა არასწორმა მშენებლობამ სტიქიის მოქმედება, მაგრამ ის, რომ ბევრი რამ არასწორად, თანაც დანაშაულებრივად არასწორად გაკეთდა, ფაქტია. ახალი გზის მშენებლობის დროს ჩემთვის უთქვამთ გამოცდილ გეოლოგებს და ჰიდროლოგებს, რომ ის რაც კეთდებოდა, ბუნების კანონების აბუჩად აგდება იყო. მახსოვს, ერთმა ასაკოვანმა „ჩარეცხილმა“ სპეციალისტმა მდინარე ვერეს კალაპოტში ზოოპარკთან მიმდებარე უბანზე ბრჭყვიალა გოფრირებული მილისკენ გაიშვირა ხელი და მითხრა: **„ვერე ასეთ დაცინვას ვერ აიტანს, მოვარდება ერთხელაც და ჩარეცხავს ყველაფერს“.**

„ერთ დღესაც მდინარე ვერე გმირთა მოედანს ჩაიტანს მტკვარში,“ უთხრა ცნობილმა ურბანისტმა ნიკო კახეთელიძემ ჟურნალისტ თამარ ჩიქოვანს ახალი გზის პროექტზე მსჯელობისას ზუსტად სამი წლის წინათ და მაშინათვე დაასაბუთა, რატომ იყო ეს მოსალოდნელი (ყველას ვურჩევ იუთუბ-ზე ნახოს ის საუბარი).

„ამდენი ადამიანი დაიღუპა, ამდენი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა... მახსენდება ამ პროექტთან დაკავშირებით წინა ხელისუფლების ცინიკური დამოკიდებულება ოპონენტების მიმართ. ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ, ᲐᲛ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲤᲘᲫᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ - გაავლეს ხაზი და გააკეთეს. აი, ამაზე ვცოფდები. ასეთი რაღაცეების კეთება არ შეიძლება. ჩვენ თუ ამ საკითხის უფრო პროფესიულად განხილვა გვინდა, თემას პროექტით ხელში უნდა გავყვეთ და უნდა გვყავდეს ოპონენტი,“ – განაცხადა ნიკო კახეთელიძემ ამ დღეებში. მრავალი წელია, ვიცნობ ბატონ ნიკოს, როგორც პროფესიონალს, რომელიც დაუსაბუთებლად არაფერს ამბობს. ამ პროექტის განხორციელებისას პარლამენტის წევრი გახლდით. ვეცადე პროექტის და თანდართული მასალების მოპოვება და ვერაფერს გავხდი. ამის თაობაზე და იმაზე, რომ ინფორმაციის დამალვა დიდი დანაშაული იყო, განვაცხადე კიდევაც. ერთადერთი ინფორმაცია, რაც კონფიდენციურად მითხრეს მაშინ პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოცდილმა მეცნიერებმა, ის იყო, რომ **ყველაფერი სააკაშვილის (უგულავას) ხელშია და არავის აჩვენებენ**. ეს კი ადასტურებს ნიკო კახეთელიძის ახლანდელ განცხადებას.

„ყველგან ამას ვამბობ და კიდევ გავიმეორებ, რომ მდინარის ჭავლში მშენებლობა დაუშვებელია. ასეთი ბოლშევიკური მიდგომა, თითქოს ჩვენ ბუნებაზე ძლიერნი ვართ, დაუშვებელია. აგერ ვხედავთ, რომ ბუნება შურს იძიებს ჩვენზე, რადგან მას პატივისცემა და გაფრთხილება სჭირდება“, – განაცხადა ცნობილმა არქიტექტორმა ლადო ვარდოსანიძემ. ამ კონტექსტში უნდა ვაღიაროთ, რომ ნეოკომების (ნეოკომკავშირლების) ჭკუანაღრძობმა ლიდერმა ბოლშევიკებს ტოლი არ დაუდო. მისი მმართველობის დროს თბილისს და სრულიად საქართველოს უდიდესი ზიანი მიადგა. შეგახსენებთ, რომ განხორციელებული პროექტების: გიპსოკარდონით „რესტავრირებული“ გამზირების და ცისარტყელას ფერებში შეღებილი პოტიომკინის სოფლების და სხვა მსგავსი მრავალის გარდა, მას უფრო გრანდიოზული პროექტებიც ჰქონდა. მათ შორის მტკვარში წყლის გათბობა და მტირალას მთის მოთხრა (ბათუმის სანაპიროზე კლიმატის შესაცვლელად). ამის ყველაფრის შემდეგ თავისთავს სააკაშვილი თბილისის ახალ ისტორიაში ქრონოლოგიურად მესამე აღმშენებლად მიიჩნევდა (გაიხსენეთ ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ) მეფინასცვალ ვორონცოვისა და ლავრენტი ბერიას შემდეგ.

მთავარი უბედურება ის არის, რომ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით კი 2008 წლის შემოდგომის შემდეგ, **სააკაშვილი ვეებერთელა სახსრებს ხარჯავდა თავის პირად პროექტებზე, რომლებიც მავნე და ზარალიანი იყო ქვეყნისათვის. ამავდროულად სააკაშვილი სრულიად იგნორირებდა ყველაფერს, რისი გაკეთება იყო სასწრაფო და აუცილებელი ქვეყნისათვის.** საბიუჯეტო სახსრების გარდა სააკაშვილი თავისი „სნეებიანი ფანტაზიის ნახატებისათვის“ ფულს არიცხინებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კომპანიებს, რაც აგრეთვე დიდად აზარალებდა ქვეყანას. **მახსოვს, „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ „კავკასიის“ ეთერში ყაზტრანსგაზის გამოცდილმა მუშაკმა განაცხადა, რომ თბილისში გაზსადენზე ყოველდღე რამდენიმე ავარია ხდებოდა და ფული არ ჰყოფნიდათ შეკეთებისათვის. აი, ასეთ ვითარებაში „ყაზტრანსგაზს“ აიძულეს, 50 მილიონ ლარამდე გადაერიცხა ქუთაისში პარლამენტის მშენებლობისათვის...**

გარდა ხსენებული წყაროებისა, **სააკაშვილი ერთპიროვნულად განკარგავდა 2008 წლის ომის შემდეგ დასავლეთიდან საქართველოსათვის შემოსულ დახმარებას - 4.5 მილიარდ დოლარზე მეტს!** ამას მიუმატეთ, რომ სააკაშვილის დავალებით სახელმწიფო, სხვადასხვა ორგანიზაციები, კერძო ბანკებიც (!) იღებდნენ ვალს საზღვარგარეთ. ჯამში ამ **ვალმა საქართველოსათვის ასტრონომიული ციფრი - 13.4 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ** (იმ წლებში დავით ნარმანია თავის საქმეს აკეთებდა და როგორც დამოუკიდებელმა ექპერტმა რამდენჯერმე წარმოადგინა სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგი და საგარეო ვალის ანალიზი).

ამ თანხების დიდი ნაწილი სააკაშვილმა თავის საყვარელ პროექტებს მოახმარა: თავის კალიგულას რეზიდენციას; ქუთაისში პარლამენტის აშენებას, სანაპიროზე ჩოგბურთის უნიკალური სტადიონის განადგურებას და „სოკოების“ აშენებას; შუშის ხიდებს; მრავალ ძეგლს და ა.შ. რეაბილიტაციურ პროექტებზე და აუცილებელ პროფილაქტიკურ სამუშაოებზე კი, პრაქტიკულად, არაფერი გამოიყო (საგულისხმოა, რომ განაცებულმა ქოცებმა დღემდე არ წარმოადგინეს სრული ინფორმაცია სააკაშვილის დანაშაულებრივ ხარჯებზე). სააკაშვილის გარეშე არ წყდებოდა არც ერთი პროექტის დაფინანსება - ამას არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი არქიტექტორები და მშენებლები მეუბნებოდნენ. მესტიაში მუზეუმის შენობის დიზაინს და სახურავის ფორმას სააკაშვილი წყვეტდა, ისევე, როგორც თამარ მეფის გამზირზე კლდესთან პრომეთეს ქანდაკების დადგმას ან ბაგრატის ტაძარში ლიფტის მიშენებას – აი, ავტორიტარული რეჟიმის არსის საუკეთესო ილუსტრაცია! ხარჯთაღრიცხვა იყო ყოველთვის ხელოვნურად გაბერილი: ექსპერტები აცხადებენ, რომ საკმარისია სპეციალისტმა ნახოს, რა დაიხარჯა გზების მშენებლობაზე (მათ შორის ვერის ხეობაში აშენებულ ახალ გზაზე) სააკაშვილის წლებში და რა გაკეთდა რეალურად, რომ დიდი დანაშაული აშკარა გახდეს. ამავდროულად საერთოდ არაფერი კეთდებოდა ნაპირების გამაგრებისათვის, მეწყერული ზონების რეაბილიტაციისათვის, ხეობების და კალაპოტების გაწმენდისათვის.

არადა, ჯერ კიდევ 2005-2006 წლებში მთავრობის სხდომებზე მომისმენია ინფორმაცია, რომ საქართველოს მასშტაბით მდინარეების კალაპოტები და ხეობები ისე იყო დაბინძურებული და ჩახერგილი, რომ მცირე წვიმებსაც შეეძლო დიდი უბედურების გამოწვევა; რომ მრავალი სოფელი მეწყერულ ზონებში იყო მოხვედრილი და დიდი საფრთხე ემუქრებოდა. იმავე წლებში მოიხსნა ყოველგვარი შეზღუდვები და ნორმები მშენებლობებზე (მაგალითად ინსოლაციის ნორმები, კორპუსებს შორის მანძილი). საერთოდ იგნორირებული იყო გეოლოგიური ექსპერტიზა. მშენებლობებს კი მხოლოდ ნაცებთან დაახლოებული კომპანიები ასრულებდნენ. სხვები ტენდერებში აღარც იღებდნენ მონაწილეობას – იცოდნენ, რომ ამას აზრი არ ჰქონდა.

იმაზე, როგორ ამახინჯებდა სააკაშვილი თბილისს, ბათუმსა და სხვა ქალაქებს, როგორ ფლანგავდა ვეებერთელა სახსრებს უღატაკეს ქვეყანაში, საკმაოდ ბევრი იწერებოდა ევროპულ პრესაში. წინა წლებში ბლოგზე განთავსებულ წერილებში არაერთხელ ვციტირებდი გაოგნებული ევროპელების წერილებს და აქ აღარ გავიმეორებ.

ახლა, მინდა, შეგახსენოთ, რომ სწორედ იმ წლებში, როდესაც სტრიპტიზმერი უგულავა მერიის ბიუჯეტიდან თანხებს რიცხავდა სტრიპტიზბარებში და იქ ერთობოდა თავის მეგობრებთან და/ან მათ მეუღლეებთან ერთად; როდესაც ვენაში წაიყვანა სამშობიაროდ მეუღლე და უძვირეს სასტუმროში უძვირეს ნომერში გაჩერდა, რომელშიც ერთი დღე ცხოვრება მერის თვიურ ხელფასს აღემატებოდა, ხოლო საგულშემატკივროდ ჩასული მისი „საძმო““ ვენაში დღეში 800-900 ევროდ დაქირავებული ჯიპებით დაქროდა; როდესაც ლას-ვეგასში დადიოდა, მივლინებებზე ათობით ათას დოლარს ხარჯავდა და უტიფრად აცხადებდა, რომ ნაგვის მანქანების დასათვალიერებლად (!) უწევდა სიარული (წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა ევროპის ნებისმიერ ქალაქში, მერი ასე რომ მოქცეულიყო); სწორედ ამ დროს ცნობილმა საერთაშორისო კომპანია „მერკერმა“ სხვადასხვა ქვეყნის 221 ქალაქი გამოიკვლია და თბილისი სამარცხვინო 214-ე ადგილზე „მოათავსა“. მაშინ დამოუკიდებელმა ქართველმა ჟურნალისტებმა განგაში ატეხეს, ვინაიდან იმ კრიტერიუმებს შორის, რომელთა მიხედვით თბილისი ევროპაში მიღებულ სტანდარტებს ვერ პასუხობდა, უწინარესად იყო ეკოლოგია, ინფრასტრუქტურა და ჯანდაცვა.

ეს წერილი „რუსთავი-2“-ით 16 ივნისს გავრცელებული სტრიპტიზმერის წერილის ფრაგმენტით მინდა დავასრულო:

„...ყველა საზოგადოებაში ტრაგედია სოციალური პასუხისმგებლობის, სოლიდარობისა და ერთიანობის განცდას აძლევს ბიძგს. დღევანდელ ტრაგედიას გმირებად რიგითი თბილისელები გამოუჩნდნენ. ყველა გემოვნებისა და ორიენტაციის თბილისელი ერთად დარაზმული ცდილობს სტიქიასთან და სტიქიის შედეგებთან გამკლავებას.

ეს კათარზისია! ხოლო ჩვენ, პოლიტიკოსებს მან უნდა გვიჩვენოს გზა, საით ვიაროთ და როგორ არ უნდა მოვიქცეთ. ამიტომ, რა ტალახიც არ უნდა ისროლონ და რა ნადირობაც არ უნდა გამოაცხადონ კუდიანებზე, მე დღეს „რიგითი ნარმანია“ ვარ, რადგან ვიცი, რა ძნელია მის ადგილზე ყოფნა და ამ პასუხისმგებლობის ტარება,“ – აღნიშნულია ვირის აბანოში მყოფი უგულავას განცხადებაში.

ᲙᲐᲗᲐᲠᲖᲘᲡᲘ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲪᲘᲜᲘᲖᲛᲡ ᲠᲐ ᲕᲣᲧᲝᲗ?!

�პᲔᲢᲠᲔ ᲛᲐᲛᲠᲐᲫᲔ,

მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე

◎ განსჯა



რა არის საჭირო ვერეს ხეობაში უსაფრთხო პარკის მშენებლობისთვის?

14 ივნისის სტიქიიდან რამდენიმე დღეში ზოოპარკის ტერიტორიაზე რეკრეაციული პარკის მშენებლობის იდეით გამოდის პრემიერ-მინისტრი. ვერეს ხეობაში ცენტრალური ტყე-პარკის მშენებლობის ინიციატივით გამოდის საზოგადოების ნაწილიც. ინტერნეტსივრცეში ამ მიზნით შექმნილ პეტიციას 17 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. უსაფრთხოა თუ არა ხეობაში ტყე-პარკის მშენებლობა და რა ნორმები უნდა იქნეს დაცული რეკრეაციული ზონის შექმნისას?

ვერეს ხეობაში, მზიურისა და ზოოპარკის ტერიტორიაზე, რომელიც 14 ივნისის ღამეს სტიქიური უბედურების ზონად იქცა, კვლავაც მიმდინარეობს სამაშველო სამუშაოები. იქ ისევ ეძებენ დაკარგულ ადამიანებს, ასუფთავებენ ტერიტორიას შლამისა და დამტვრეული ხეებისგან. სტიქიიდან ორი დღის შემდეგ კი აქტუალური გახდა ფიქრი და ლაპარაკი იმაზე, თუ სად უნდა განთავსდეს მომავალში თბილისის ზოოპარკი, რომელიც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში — 1927 წელს — დაარსდა, და, ასევე, რა უნდა გაკეთდეს გათავისუფლებულ ადგილას. ვერეს ხეობის ტერიტორიაზე სარეკრეაციო პარკის შექმნის იდეით საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 16 ივნისს გამოვიდა. ის ფიქრობს, რომ იმ ტერიტორიაზე, რომელიც საზოგადოების სამაგალითო სოლიდარობის სიმბოლოდ იქცა, სწორედ სოლიდარობის პარკი უნდა გაშენდეს.

ზოოპარკის ტერიტორიაზე ახალი რეკრეაციული ზონის შექმნის იდეით გამოდის გარემოსდამცველი ორგანიზაცია „მწვანე მუშტიც“. მათ ამ მოთხოვნით პეტიციაც შექმნეს, რომელსაც, ბოლო მონაცემებით, 17 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს უკვე. თუმცა, მათი ინიციატივა მხოლოდ რეკრეაციული პარკის შექმნის იდეით არ შემოიფარგლება. ორგანიზაციის აქტივისტი ლევან ლორთქიფანიძე რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ამბობს, რომ ახალი ცენტრალური ტყე-პარკის შემადგენლობაში სტიქიით დაზარალებული ვერეს ხეობის გაუსხვისებელი მიწის ნაკვეთებიც უნდა შევიდეს. მისი თქმით, ტყე-პარკს არა მხოლოდ რეკრეაციული, არამედ სტიქიის პრევენციის ფუნქციაც უნდა ჰქონდეს:

„მეცნიერებაში არსებობს ცნობილი მეთოდები, ხეების სპეციალური ჯიშები, რომელთაც შესაბამისი მეთოდით დარგვის შემთხვევაში, სტიქიის პრევენციის ფუნქციის შესრულება შეუძლიათ“.

ამასთანავე, „მწვანე მუშტის“ წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ვერეს ხეობაში 2010 წელს გაჭრილი ჩქაროსნული მაგისტრალი, რომლის ნაწილიც დღეს განადგურებულია, უნდა გაუქმდეს და ეს ტერიტორიაც ცენტრალურ პარკს შეუერთდეს. ასე ფიქრობს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელი ერეკლე ურუშაძეც. მისი სიტყვებით, **„მთავარია, რომ რაც გაკეთდება, ისე გაკეთდეს, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მოქალაქეების უსაფრთხოების ზომები და საფრთხე მინიმუმამდე შემცირდეს. ცხადია, სტიქიას ვერ გამოვრიცხავთ, მაგრამ პრევენციული ზომები უნდა იყოს გათვალისწინებული. სასურველია, რომ ამ ტერიტორიაზე შეიქმნას რეკრეაციული ზონა. მეც და ის ურბანისტებიც, ვისთანაც მისაუბრია, ფიქრობენ, რომ ამ მაგისტრალის მშენებლობა იყო შეცდომა. არც ერთ თანამედროვე ქალაქში აღარ ცდილობენ ავტომობილების ნაკადის შესამცირებლად ახალი გზის მშენებლობებს. ჩვენ უნდა გადავიდეთ ქალაქგეგმარებაზე, რომელიც იქნება ორიენტირებული, პირველ რიგში, ადამიანზე, წაახალისებს ფეხით სიარულსა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობას და ამის შემდეგ იქნება უკვე ორიენტირებული ინდივიდუალურ ავტოტრანსპორტზე“.**

ქალაქის ხერგილებისაგან ნაწილობრივ განსატვირთად რომ ვერეს ხეობის ავტომაგისტრალის არსებობა აუცილებელია, ამას რადიო თავისუფლებასთან საუბარში ამბობს ირაკლი როსტომაშვილი, მენაშენეთა ასოციაციის თავმჯდომარე. მისთვის საერთოდ მიუღებელია მაგისტრალის გაუქმებაზე ლაპარაკი. რაც შეეხება ვერეს ხეობაში რეკრეაციული პარკის მშენებლობას, ერეკლე ურუშაძის მსგავსად, ისიც ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მაქსიმალურად გაითვლება რისკები, სტიქიის პრევენციისა და ევაკუაციისთვის შეიქმნება სათანადო სისტემა, ვერეს ხეობაში რეკრეაციული პარკის მშენებლობა უსაფრთხო იქნება. მისი თქმით, ამისათვის სწორი მენეჯმენტის განხორციელებაა საჭირო.

არსებობს თუ არა სამსახური, რომელიც უხვი ნალექის, მოსალოდნელი მეწყრის შემთხვევაში ე. წ. განგაშის ზარს შემოკრავს? დავით კერესელიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ჰიდროლოგი, რადიო „თავისუფლებასთან“ საუბარში ამბობს, რომ მსგავსი სამსახური არ არსებობს. მისი თქმით, საბჭოთა პერიოდში სწორედ ამ ფუნქციით შექმნილი ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურები დღეს გაუქმებულია:

„თუ გვინდა, რომ მოვახდინოთ სწორი პროგნოზირება მოვლენების, ეს სადგურები უნდა აღდგეს. იაპონიის მაგალითს მოვიყვან, სადაც ისეთი სისტემაა შექმნილი, რომ მომენტალურად აფასებენ სიტუაციას და ხდება დაუყოვნებელი მობილიზაცია. თუ ასეთი სისტემა და ქსელი გაკეთდება, რა თქმა უნდა, თავიდან ავიცილებთ უბედურებას. ბეთანიის გზაზე მეწყერი რომ ჩამოწვა, თბილისში წყალი ორი საათის მერე შემოვარდა. ჩვენ რომ ეს სისტემა აწყობილი გვქონოდა, ამ ორ საათში გამოვიყვანდით მოსახლეობას და მსხვერპლი არ იქნებოდა. სახლებს ვერ გადავარჩენდით, მაგრამ ადამიანები ხომ გადარჩებოდნენ, ახალგაზრდების სიცოცხლე ხომ არ მოისპობოდა?! აი, ეს არის საქმე. გარდა ამისა, ჩვენ უნდა მოვახდინოთ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაც იმ თვალსაზრისით, რომ იცოდეს, რა ბედი ეწევა მას, თუკი არ დაემორჩილება იმ მოთხოვნებს, რომელთაც წაუყენებენ, მაგალითად, ევაკუაციის პროცესში. დიახ, უნდა არსებობდეს სამსახურები, რომლებიც ასეთ სიტუაციაში ივლიან მოსახლეობაში და ევაკუაციას გამოაცხადებენ“.

კიდევ ერთი გზა, რომელიც, დავით კერესელიძის აზრით, ვერეს ხეობას განმეორებითი დატბორვისგან დაიცავს და, თუკი იქ მომავალში ცენტრალური ტყე-პარკი გაშენდება, მოქალაქეების უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს, ეს ბაგებში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე, კაშხლის მშენებლობაა.

ნინო თარხნიშვილი

◎ ახირების სავალალო შედეგები

„როცა ვემუდარებოდით, ამას ნუ იზამთო, უგულავამ კარებისკენ მიგვითითა“

გახდა თუ არა 13 ივნისის სტიქიის გამომწვევი მიზეზი ყოფილი ხელისუფლების დროს დაპროექტებული ვერეს ხეობის ახალი გზა, ამ საკითხს მთავარი პროკურატურა სწავლობს. სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას უსაფრთხოების წესების შესაძლო დარღვევის ფაქტზე პროკურატურამ გამოძიება 240-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობას და სხვა მძიმე შედეგებს გულისხმობს.

როგორც საგამოძიებო უწყებაში აცხადებენ, გამოძიების ფარგლებში შესწავლილი იქნება, მდინარე ვერეს ხეობაში სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე გამოკვლეული იყო თუ არა ადგილმდებარეობა, გათვალისწინებული იქნა თუ არა მოსალოდნელი რისკები და მშენებლობისას დაცული იყო თუ არა უსაფრთხოების ნორმები.

ამ გზის მშენებლობა უგულავასა და სააკაშვილის კაპრიზის შედეგი იყო

შს მინისტრი ვახტანგ გომელაური ადასტურებს, რომ ვერეს ხეობის დატბორვასთან დაკავშირებულ მიზეზებს პროკურატურა სწავლობს. მისივე განცხადებით, პარალელურად, მუშაობენ ექსპერტები იმის დასადგენად, თუ რამდენად დარღვევითაა გაკეთებული შენობები და პანდუსები.

„პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და განცხადებასაც ისინი გააკეთებენ. როდესაც ადამიანი იღუპება, მნიშვნელობა არა აქვს, რაიმე არასწორად იყო აშენებული, თუ უბრალოდ, გარდაცვლილს ვპოულობთ, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა ხდება“, — აცხადებს ვახტანგ გომელაური.

პროკურატურის პარალელურად, ვერეს ხეობაში სტიქიის გამოწვევ მიზეზებს იტალიის გეოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი კლაუდიო მარგოტინი შეისწავლის, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია. მარგოტინი საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ ჩამოიყვანა. კულტურის მინისტრის განცხადებით, იტალიელი გეოლოგი კონსულტაციას გაუწევს თბილისის მერიის და გარემოს დაცვის სამინისტროს სპეციალისტებს.

„ისინი ერთად დაათვალიერებენ ვერეს ხეობას, შემდეგ ავლენ ბეთანიაში, სამეწყერო ზონებს და ადგილებს დაათვალიერებენ. ბატონი კლავდიო გვიწევს რეკომენდაციებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ ის მომავალშიც კომპლექსურად ჩაერთოს პროცესების შესწავლაში და საბოლოო დასკვნაშიც იყოს ჩართული, რადგან ის არის ადამიანი, რომლის გამოცდილების, ცოდნის და პროფესიონალიზმის მქონე პიროვნება ცოტაა და ეს რესურსი უნდა გამოვიყენოთ“, — აღნიშნა მიხეილ გიორგაძემ.

აღსანიშნავია, რომ 13 ივნისის სტიქიის გამომწვევი მიზეზების გასარკვევად უცხოელი ექსპერტების ჩართვაზე განცხადება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, მისი სურვილია, რომ მაღალკვალიფიციურმა ექსპერტებმა წარმოადგინონ დასკვნა. სტიქიური ზონა უკვე დაათვალიერა იტალიელმა გეოლოგმა, რომლის განცხადებით, პირველადი დათვალიერებიდან ჩანს, რომ ძალიან უჩვეულო სიტუაციაა.

„უჩვეულო სიტუაციაა, რადგან ამ პროცესებმა და ტრაგიკულმა მოვლენებმა გაერთიანა რამდენიმე კატასტროფა, კატაკლიზმები და ძალიან უჩვეულო ფენომენია. ერთი მხრივ, ძალიან დიდი ნაკადი იყო წყლის, მეორე არის ის, რომ იყო მეწყერი, ამ ორმა ძალამ ერთად, ფაქტობრივად, დაანგრია ტერიტორია. მძიმე და უჩვეული სიტუაციაა, ყველა ღონეს ვიხმართ და შევიმუშავებთ რეკომენდაციას, რათა მომავალში თბილისში ასეთი რაღაც აღარ განმეორდეს“, — განაცხადა კლავდიო მარგოტინიმ.

არქიტექტორი, ქალაქმშენებელი ირაკლი მასხარაშვილი აცხადებს, რომ გამოძიების პარალელურად, სპეციალისტებმა უნდა დადონ ანალიზი, რამდენად დასაშვები იყო გზის გაყვანა.

„არავითარი საუბარი იმაზე, რომ უნდა აღდგეს გზა. ვერეს ხეობა იყო და რჩება რისკის ზონად. ნუთუ ამ სტიქიამ ჭკუა ვერ გვასწავლა? არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს უფლება, რომ თავისი მოსახლეობა სტიქიის რისკის ზონაში მოაქციოს. როდესაც საუბარია, რომ, რაც შეიძლება მალე აღვადგინოთ გზა, ეს არის დანაშაულის გადაფარვა.

თუ გვინდა უგულავას გამართლება, მაშინ კი ბატონო, აღვადგინოთ გზა. ამ გზის მშენებლობა იყო უგულავას და სააკაშვილის კაპრიზის შედეგი. უწინარესად, უნდა დადგეს თბილისის ყოფილი მერის პასუხისმგებლობის საკითხი. როდესაც ვემუდარებოდით, ამას ნუ იზამთო, მაშინ კარისკენ მიგვითითა უგულავამ და გვითხრა, ეს საკითხი გადაწყვეტილიაო. თუ ვინმეა დამნაშავე, დიახ ეს არის უგულავა“, — აცხადებს ირაკლი მასხარაშვილი.

ყოფილი ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე საუბრობს ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი, რომლის განცხადებით, პასუხი უნდა აგონ პროფესიონალების ჩამრეცხველებმა.

„დარწმუნებული ვარ, რომ დადგება იმ ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ ჩაერეცხათ პროფესიონალები. შედეგი ნათელია, მივიღეთ ძალიან მწარე გაკვეთილი იმისა, რას ნიშნავს უმეცრება ამა თუ იმ პროექტის რეალიზაციისას. ამ პროექტის განხილვაში ჩართული იყვნენ გამოცდილი ადამიანები, მაგრამ მათ არავინ უგდებდა ყურს.

რაც შეეხება გამოძიების დაწყებას, საგანგებო სიტუაციის ძალები და პროკურატურა ერთდროულად არ უნდა მოქმედებდნენ. ჯერ უნდა შევძლოთ პროფესიონალების მიერ შესაბამისი დასკვნების დადება და ამის შემდეგ შეიძლება ჩართული იქნას პროკურატურა. სხვა შემთხვევაში, რა უნდა გამოიძიოს პროკურატურამ, თანაც ისეთმა სახელგატეხილმა პროკურატურამ როგორიც დღეს არის?!“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

თამთა ძარჩავა

◎ კომპეტენტური აზრი

მდინარე ვერეს ხეობაში არსებული ყველა შენობა თავიდანვე განწირული იყო!

13 ივნისს ჩვენი დედაქალაქი გაუგონარი ტრაგედიის მოწმე გახდა. დღეს ბევრს მსჯელობენ სტიქიის გამომწვევ მიზეზებზე, ჩნდება უამრავი კითხვა, რომელთა შორის ყველაზე მტკივნეული, ალბათ, ერთია: შეიძლებოდა თუ არა სტიქიის მასშტაბების შემცირება?! ერთ-ერთ მიზეზად ისიც სახელდება, რომ ე.წ. ახალი გზის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე განხორციელდა. სპეციალისტები ორ უმთავრეს მიზეზს ასახელებენ – სტიქიას და ადამიანის შეცდომებს. ცნობილია ისიც, რომ „ახალი გზის“ რამდენიმე პროექტი არსებობდა, მაგრამ რატომღაც, წინა ხელისუფლებამ ეს პროექტი აირჩია.

ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ უკვე რამდენიმე წელია უსვამს ხაზს, რომ დედაქალაქში არაერთი შენობა ნორმებისა და სტანდარტების გარეშე შენდება. bpn.ge ამ საკითხზე ასოციაციის ხელმძღვანელს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს ანზორ საკანდელიძეს ესაუბრა.

– როგორც ცნობილია, „ახალი გზის“ სხვა პროექტებიც არსებობდა, ერთ-ერთის მიხედვით ეს გზა ხიმინჯებზე უნდა აგებულიყო, ხიმინჯები წყალს თავისუფლად გაატარებდა და, შესაძლოა, ამხელა ტრაგედიის მოწმენი არ გავმხდარიყავით!

– დიახ, იმ პროექტით ეს გზა ხიმინჯებზე უნდა აგებულიყო, რაც უკეთესი ვარიანტი იყო. იქ იყო სხვა, უკეთესი პროექტებიც და ამის შესახებ სპეციალისტებმა კარგად იციან. მაგრამ უბედურება ის არის, რომ არც ეს პროექტი განხორციელებულა გონივრულად: როგორც ვიცი, არავითარი ტენდერი არ ჩატარებულა და ყველაფერი უცბად გადაწყვიტეს თავიანთი ბელადის – სააკაშვილის მითითებით. ალბათ, ამ გზის აგებისას ფულის „მოტეხვაც“ უნდოდათ. ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც ეჩქარებოდათ, სწორედ ფული იყო. ახლა უნდათ, ყველაფერი თამაზ შილაკაძეზე გადატეხონ, რომელიც პროექტის ავტორია. ბატონ თამაზს კარგად ვიცნობ, ის არაერთი გამოგონების ავტორია, თავისი საქმის კარგი მცოდნე და გამოცდილი ადამიანი. მე ვარ ცოცხალი მოწმე, რომ მხვდებოდა, შეშფოთებით მეუბნებოდა: ვინ გაცლის რაიმეს გაკეთებასო... აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო წინასწარი საკვლევი სამუშაოები. უნდა დაედოთ საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა და ამის შემდეგ უნდა დაედგინათ, სად ხიდები გაიდებოდა და სად იქნებოდა ესტაკადა. საუბედუროდ, ამ ყველაფრის გაკეთებას ისე ჩქარობდნენ და მშენებლობა ისე დასრულდა, რომ პრაქტიკულად პროექტი არც კი გაკეთებულა.

– ესე იგი, პროექტის ავტორს მუშაობას არ აცლიდნენ?

– არ აცლიდნენ და აიძულებდნენ, ყველაფერი სწრაფად დასრულებულიყო, თორემ მე დარწმუნებული ვარ, თამაზ შილაკაძე გოფრირებულ მილში მდინარეს არ გაატარებდა. როგორც ჩანს, ვიღაცამ უთხრა იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ ეს უფრო იაფი დაჯდებოდა, თანაც, ამ სიიაფეში უფრო მეტ ფულს იშოვნიდნენ! იმ წლებში მიმდინარე მშენებლობების პრინციპი ხომ ასეთი იყო – პროექტი უნდა გამოსულიყო რაც შეიძლება იაფი, რომ მერე ამ მშენებლობიდან რაც შეიძლება მეტი ფული „მოეტეხათ“. საგზაო მშენებლობა მშენებლობის ერთ-ერთი დარგია და ის პრობლემები, რაც მშენებლობაში იყო ჩვენთან, ამ დარგზეც გავრცელდა: კერძოდ, განუკითხაობა, არაპროფესიონალიზმი, ყველანაირი ნორმის უგულებელყოფა... რომ არა განუკითხაობა, მდინარე ვერეს ხეობაში ასეთი ინტენსიური მშენებლობა არც უნდა ყოფილიყო.

– ესე იგი, იქ საცხოვრებელი სახლებიც არ უნდა აეშენებინათ?

– რასაკვირველია! მე მისაუბრია ცნობილ გეოლოგებთან და გეოინჟინრებთან – თავიანთი საქმის პროფესიონალებთან, რომლებსაც ეს საკითხი სიღრმისეულად აქვთ შესწავლილი და ამ საუბრიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება – მდინარე ვერეს ხეობაში მშენებლობა არ უნდა ტარდებოდეს, რადგან ეს ხეობა აქტიური ეროზიული პროცესების ადგილია. ხეობაში არის მცოცავი გრუნტი და იქ მუდმივად მიმდინარეობს მეწყრული პროცესები. გეოლოგები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ამ ხეობაში საცხოვრებელი სახლის კი არა, საინჟინრო ნაგებობის აშენებაც კი არ შეიძლება. ახლა ამბობენ, რომ მდინარის გასწვრივ საყრდენი კედლები უნდა აშენდეს, დამიჯერეთ, ესეც არ უშველის, რადგან მცოცავი გრუნტის წყალობით მდინარე ამ კედლებს მაინც ქვემოთ ჩაიტანს. სწორედ ამიტომ, ისტორიულად ამ ხეობაში დასახლებული პუნქტი არც ყოფილა. სად არის გამოსავალი? – ერთადერთი გამოსავალია, რომ მდინარე ვერეს მისცე ის მიმართულება, ის კალაპოტი, რომელიც მას ყოველთვის ჰქონდა. როდესაც ასეთი წყალმოვარდნები იქნება, ის გაიშლება თავის ბუნებრივ კალაპოტში და ირგვლივ არავის და არაფერს არ დააზიანებს. მოდით, გავიხსენოთ ის ავად სახსენებელი საბჭოთა კავშირი – იმ დროს ვინ მოგცემდა უფლებას, რომ მდინარის კალაპოტში რაიმე აგეშენებინა? ასეთ სარისკო ადგილას, უმჯობესია, არაფერი აშენდეს.

– თუმცა, იქ უკვე არის ბევრი რამ აშენებული, როგორ უნდა ვუშველოთ ხალხს, რომელიც ვერეს ხეობაში ცხოვრობს?

– მეც ვემხრობი მოსაზრებას, რომ ეს გზა ესტაკადაზე მაღლა უნდა აიწიოს და როდესაც მდინარე ვერე ადიდდება, გასაქანი უნდა მივცეთ. ეს ესტაკადა უნდა იყოს ძალიან მაღალი და როდესაც მსგავსი წყალმოვარდნები იქნება, მდინარე ვერემ თავის ბუნებრივ კალაპოტში უნდა იდინოს, რომელიც მან საუკუნეების განმავლობაში გამოიმუშავა. რაც შეეხება ამ ხეობაში მცხოვრებ ადამიანებს, ზემოთ უკვე გითხარით – ინჟინერ-გეოლოგები ერთხმად ამტკიცებენ, რომ მდინარე ვერეს ბუნებრივ კალაპოტში, ანუ იმ კალაპოტში, სადაც ის ადიდებული მოდის ხოლმე, არაფრის აშენება არ შეიძლება. ხიმინჯებიც რომ გაკეთდეს, იქ მცოცავი გრუნტია და ამ სახლებს დროთა განმავლობაში მაინც საფრთხე ემუქრება. წლების შემდეგ ეს სახლები მდინარე ვერეში აღმოჩნდება. თუ უნდათ, კიდევ ერთხელ შეისწავლონ იქაური გრუნტი და ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან. შეიძლება, 5-10 წელი შენარჩუნდეს, მაგრამ მეწყრული პროცესები იქ მაინც განვითარდება. ვერეს ხეობაში ერთხელ მაინც რომ ჩატარდეს გლობალური გეოლოგიური კვლევა, ყველა დარწმუნდება, რომ მშენებლობა დაუშვებელი იყო. რა ნებართვებიც გაიცა და რაც აშენდა, ის შენობები ყველა თავიდანვე განწირული იყო. გამოიკვლიონ და დადონ დასკვნა, რომ ხუთი, ან ათი წლის შემდეგ იქ მცხოვრებ მოსახლეობას საშიშროება არ შეექმნება. მე არ ვამბობ, რომ ეს წელს, ან გაისად მოხდება, მაგრამ რაც მოსახდენია, მაინც მოხდება. მდინარე ვერეს გაყოლებაზე აშენებული ყველა შენობა-ნაგებობა ადრე თუ გვიან განწირულია დასანგრევად!

– ახალ გზასაც თავიდანვე იგივე ბედი ემუქრებოდა?

– ახალი გზაც ისე უნდა გაეყვანათ, რომ მისი დამატებითი შესწავლა მომხდარიყო. ასეთი პრობლემური ტრასების დაპროექტებას და გაყვანას წინ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები უძღვის, რომელიც არ ჩატარებულა. ახლა მაინც უნდა ჩატარდეს და ამისთვის თანხის დახარჯვა არ უნდა დაიზარონ. არავის სურს მეცნიერებაში ფულის ჩადება, რადგან ეს გადაყრილი ფული ჰგონიათ, მაგრამ ხომ დავრწმუნდით, რომ ეს გადაყრილი ფული არ არის? რასაც დღეს არ გადაიხდი, ხვალ ათჯერ და ასჯერ მეტის გაღება მოგიწევს. ჯერ ყველაფერი უნდა გამოვიკვლიოთ და მერე დავიწყოთ მშენებლობა, თორემ ასეთი უბედურებები საქართველოში არ გამოილევა.

ნათუნა ჩიგოგიძე

გამოიკვლიონ და დადონ დასკვნა, რომ იქ მცხოვრებ მოსახლეობას 5 ან 10 წლის შემდეგ საფრთხე არ დაემუქრება

◎ აქტუალური ინტერვიუ

სტრესულ მდგომარეობაში დამაძინებელმა მედიკამენტმა

„არ მოკლათ!!! მთელი ერი გთხოვთ!!!“ – ხალხის ემოციები დახოცილ ცხოველებს მიეძღვნა. იმის მიუხედავად, რომ თბილისში მომხდარ წყალდიდობას არაერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ცხოველების ლიკვიდაციამ მათი განსაკუთრებული მღელვარება გამოიწვია. სოციალურ ქსელებში განსაკუთრებით აღელდნენ, როცა შეიტყვეს, რომ თეთრი ლომის ბოკვერი – ყველასთვის საყვარელი შუმბა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს მაშინ, როცა ის ვოლიერში კიბის ქვეშ კატასავით შეშინებული იმალებოდა.

ამ დღეებში ბევრი ტყუილი და მართალი გავრცელდა. ამბობდნენ, რომ მხოლოდ იმ ცხოველებს ხოცავდნენ, რომლებიც აგრესიით გამოირჩეოდნენ, თუმცა, ზოგიერთები იმასაც ავრცელებდნენ, რომ აგრესიულებთან ერთად, ვოლიერზე მიბმული უმწეო ცხოველებიც განადგურდა, ზებრები და მგლები კი ერთ ვოლიერში აღმოჩნდნენ და ზებრებმა ჩაქოლეს ერთი მგელი.

ამდენ ტყუილ-მართალს შორის იყო რეკომენდაციებიც: „გაუშვით ცხოველები თავის ბუნებაში და საერთოდ აღარ გინდათ ეს ზოოპარკები. სუფთა ციხეა, რომელშიც სიცოცხლის ბოლომდე უწევს ცხოველს ყოფნა. თქვენ თავად გინდათ ასეთი ცხოვრება? და ა. შ.

მომხდარი ტრაგედიის შესახებ For.ge ზოოპარკის სამეცნიერო დირექტორს დავით თაქთაქიშვილს ესაუბრა.

– ბოლო დღეებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვაკეში, ქობულეთის ქუჩაზე, შავი ავაზა შენიშნეს, ხოლო ვაჟას-ფშაველას კვარტალებში ლომი უპოვიათ. მომხდარიდან პირველ დღეებშივე ხელისუფლება მოსახლეობას ქუჩებში გადაადგილებისგან თავის შეკავებას ურჩევდა. დღეს კი ზოოპარკის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ არც ერთი მტაცებელი ცხოველი ზოოპარკის ფარგლებს გარეთ არ იმყოფება.

– მართლაც ვრცელდება ინფორმაცია, რომ ზოგიერთი ცხოველი თურმე ისანთან იპოვეს, ზოგიც -ვაჟა-ფშაველაზე. გუშინ შემოვიდა ხუთი ასეთი ინფორმაცია, რომელზეც ვეტექიმებით დაკომპლექტებული ჩვენი სამუშაო ჯგუფი გადიოდა შესაბამისი თოფით, რომელიც ისროდა დასაძინებელ წამალს. თუმცა, არც ერთი ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. ამიტომ თბილისის ზოოპარკის ადმინისტრაცია სთხოვს მოქალაქეებს, მსგავს ინფორმაციას ნუ ავრცელებენ, რაც ზედმეტ პანიკას იწვევს მოსახლეობაში. რაც შეეხება ცხოველებს, რომელთა ლიკვიდაციაც მოახდინეს და, რომლებიც, ასევე, სტიქიის შედეგად დაიღუპნენ, რთულია იმაზე საყვედური, რატომ მოკალით ცხოველი. არ იყო სხვა საშუალება, თორემ არავინ იყო მოწოდებული, მოეკლა ცხოველი. ნებისმიერი ცხოველის გამოსვლა ვოლიერიდან და, მით უმეტეს, საშიში მტაცებლის გამოსვლა არაორდინარული, არაპროგნოზირებადი შემთხვევაა. ვერავინ იტყვის, როგორ მოიქცევა ახალ გარემოში მოხვედრილი ცხოველი, ახალი გარემო მისთვის დიდი სტრესია, რამაც შეიძლება, მისი მხრიდან ან აგრესია გამოიწვიოს, ან, პირიქით, ცხოველი მოადუნოს, შიშის გრძნობამ დაიპყროს და გახდეს აბსოლუტურად უხიფათო. ჩვენ ხომ არ ვიცით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? აქედან გამომდინარე, თითოეული ასეთი შემთხვევა კონკრეტულ ფაქტზეა დამოკიდებული. უნდა გავითვალისწინოთ როგორც ადამიანის სიცოცხლე, ისე ცხოველის უფლებები. წინასწარ ძნელია თქმა, რა შეიძლება მოხდეს.

ასეთი ინფორმაციაც შემოვიდა, ვარკეთილში ნახეს ლომიო. ჩვენ უფლება არ გვქონდა, ამის იგნორირება მოგვეხდინა, ადგილზე უნდა გავსულიყავით და, თუ ვნახავდით ცხოველს, იგი უნდა დაგვეძინებინა და გადაგვეყვანა ზოოპარკში. რა თქმა უნდა, ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რომ ვარკეთილში არაფერი იქნებოდა. წარმოიდგინეთ, ამხელა ცხოველი ისე მივიდა ვარკეთილამდე, რომ ვერავინ შეამჩნია?

– მაგრამ ნიანგები რომ აღმოაჩინეს? იპოვეს ორი ბელიც.

– ჩვენი ნიანგები ვოლიერიდან იყვნენ გამოსულნი და ერთ ადგილას გუბეში ნახეს ორივე. გუშინ დილით დაიჭირეს ისინი. ასე რომ, ამ ინფორმაციის გავრცელებით, შესაძლოა, ვიღაც ერთობა. გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაა ზოოპარკი და, თუ ამას გულისხმობდნენ ნიანგების პოვნაში, არ ვიცი. ალბათ, უნდოდათ, ვიღაც შეეშინებინათ.

– მაშინ რას დავუკავშიროთ ვერტმფრენების ინტენსიური გადაადგილდება, რომლებიც, სავარაუდოდ, დაკარგულ ცხოველებს ეძებენ?

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, ეს კითხვა ჩვენ არ გვეკუთვნის. სანამ საბოლოოდ არ გავწმენდთ ზოოპარკის მთელ ტერიტორიას, მანამდე ვერაფრით ვიტყვით, ეს ცხოველები ქალაქში არიან თუ არა. წარმოიდგინეთ, რა არასერიოზული იქნება, რომ ვთქვათ, ვეფხვები დადიან ქალაქშიო და ამ დროს აღმოჩნდეს, რომ ისინი ჩვენთან შლამში არიან დამხრჩვალნი. მოგეხსენებათ, ძირითადი ზიანი მიადგა ზოოპარკის ქვედა ტერიტორიას და უნდა დავთვალოთ, შლამში რამდენი ცხოველია დამხრჩვალი. ესეც გადაჭარბებულია, რომ თურმე ვაჟა-ფშველას მეოთხე კვარტალში მოკლეს ერთი ლომი, რომელმაც თურმე რამდენიმე ძაღლი დაგლიჯა. სანამ იმ ლომს არ ვნახავ, ვერც ამ ინფორმაციას დავადასტურებ. მეოთხე კვარტალამდე ლომმა ხომ უნდა მიაღწიოს, ხომ არ გადაფრინდებოდა? დავიჯერო, მანამდე ვერავინ შეამჩნია ამხელა ცხოველი? გარდა ამისა, შემოვიდა ინფორმაცია, რომ ვაკის პარკში, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზეც არიან გადაადგილებული ცხოველები. ასევე, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზეც. ეს უკანასკნელი ცოტა შეესაბამება სიმართლეს,

◎ პოზიცია

როცა სამსახურები გამართულად ვერ მუშაობენ

რატომ არ გამოიყვანეს შვეულმფრენებით ადამიანები ვერეს ხეობიდან, სანამ ისინი იხრჩობოდნენ და შველას ითხოვდნენ? რისთვის გვინდოდა ავიაცია, თუ არა ასეთ კრიტიკულ სიტუაციებში? ეს კითხვები აქტუალური გახდა სწორედ 13 ივნისის ტრაგედიის ღამეს, როცა მაღლივი კორპუსებიდან ადამიანები დაჰყურებდნენ სვანიძის ქუჩაზე სახურავზე ამძვრალ, წყლით შემორტყმულ ადამიანებს და ვერ შველოდნენ. სამაგიეროდ, ტრაგედიიდან მეორე და მესამე დღეს შვეულმფრენები სერავდნენ თბილისის ზეცას.

ამ დროს სულ სხვაგვარი სიტუაციაა ცივილიზებულ მსოფლიოში. ოკეანეებში ჩაძირული გემებიდანაც კი ამოჰყავთ ადამიანები შვეულმფრენების დახმარებით და ეს წამებში ხდება. ოპერატიულად მოქმედებს ავიაცია დასახრჩობად განწირული ადამიანების გადასარჩენად ევროპაში, ამერიკასა თუ რუსეთში. ის კი არა, ცხოველების გადარჩენასაც ახერხებენ საშინელი სტიქიის დროს.

პრობლემა მარტო შვეულმფრენებში არაა. როგორც აღმოჩნდა, დედაქალაქს არ აქვს განგაშის სისტემა, რაც კომუნისტების დროს გამართულად მუშაობდა. ექსპერტები თანხმდებიან, რომ დასახლებულ პუნქტებში, სადაც გეოლოგიურად საშიში ზონაა, განგაშის სისტემა უნდა ჩაირთოს.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე For.ge-სთან საუბარში 13 ივნისის ღამეს იხსენებს, როცა პატარა ნაკადული ნილოსის მსგავს მდინარედ გადაიქცა, მოჰქონდა სახლები, სახლებზე გადასარჩენად ამძვრალი ადამიანები და ამ დროს არც სამაშველო ოპერაციებისთვის ადაპტირებული, 1967 წელს გამოშვებული ამერიკული „ირროკეზები“ ჩანდა და არც „მი- 8“, რომლებიც ან მარნეულის, ან ალექსეევკის ბაზებიდან უნდა აფრენილიყო. ეს მაშინ, როცა ამ ადამიანების ერთადერთი გადარჩენის გზა მხოლოდ ჰაერიდან იყო.

„შვეულმფრენების გამოუყენებლობა ერთმნიშვნელოვანი დანაშაულია. პირველად ვაჟღერებ თქვენთან ამ ინფორმაციას, რომ დაწყებულია ჟურნალისტური გამოძიება. სტიქიური უბედურების დაწყების მომენტიდან 15 წუთის განმავლობაში „112“-ზე 670 ზარი დაფიქსირდა, რაც რატომღაც საკმარისი არ აღმოჩნდა მასშტაბური ოპერაციის დასაგეგმად. მაშინ რისთვის გვინდა შვეულმფრენები და ავიაცია, თუ არა ასეთი მასშტაბური კატასტროფისთვის? ეს ადამიანები დახრჩობას ხომ გადარჩებოდნენ. ადამიანებმა თავს უშველეს სახურავზე ასვლით, სანამ წყალმა არ მოანგრია ამ სახლების საძირკველი და თავის კალაპოტში არ წაიღო მასზე შეფარებული ადამიანები. ერთ საათზე მეტი ხნის განმავლობაში ეს ადამიანები მარტო სახურავზე იმყოფებოდნენ. 670 ზარი არ უნდა ყოფილიყო ანალიტიკური განსჯის საგანი?! სოციალური მედია აღმოჩნდა ამ მასშტაბური კატასტროფის პირველი მაუწყებელი, თორემ შეიძლება, უფრო დრამატულად განვითარებულიყო მოვლენები.

ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში სამი ადამიანი ანთებული ფარნით ცდილობდა, განგაშის სიგნალი მიეწოდებინა სხვა ადამიანებისთვის და სამჯერ დრამატულია კადრი, როდესაც 16-სართულიანი კორპუსების მაცხოვრებლები ზემოდან დაჰყურებდნენ ამ სახლზე მსხდომ სამ ადამიანს, გადის ერთი საათი, არავინ მოდის მათ დასახმარებლად. უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან ჩვენი გმირი მაშველები და პოლიციელები, რომლებიც სიცოცხლის ფასად იცავდნენ სხვების სიცოცხლეს, ნაცვლად იმ ვალდებულებისა, რაც „112“-ის მენეჯმენტს, საგანგებო სიტუაციების მართვის საბჭოს უნდა განეხორციელებინა ჰაერის საშუალებით. მაღალი დონის გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული“, – აღნიშნა **დიმიტრი ლორთქიფანიძემ**.

რისთვის გვინდა შვეულმფრენები და ავიაცია, თუ არა ასეთი მასშტაბური კატასტროფისთვის?

მისივე თქმით, პირადად იგი 2008 წელს სამოქალაქო თავდაცვის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ აკეთებდა განცხადებებს, რომელიც ეყრდნობოდა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, რომლის მიხედვითაც, საქართველო, როგორც საომარ ვითარებაში, ისე ტექნოგენური ხასიათის გამოწვევების დროს, ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა ჟენევის ყველა დამატებითი ოქმით გათვალისწინებული პირობა – წინასწარი შეტყობინებისა და მოსახლეობის ევაკუაციის ჩათვლით. თუმცა, ეს არ მომხდარა არც 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს, როცა პირველი პირები აცხადებდნენ, რომ ეს იყო მათი შეცდომა და ევაკუაციას არ ახორციელებდნენ, რადგან არ ეგონათ ასეთი მასშტაბური თუ იქნებოდა საომარი ვითარება.

ექსპერტი უშიშროების საკითხებში ვახტანგ მაისაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ, ყველა ვარიანტში, პრეზიდენტს უნდა შეეკრიბა უშიშროების საბჭო და ეს არის პრეზიდენტის პირველი დანაშაული. მისი ვოიაჟები აქეთ-იქით და 10 მილიონი ლარის გამოყოფა ზღვაში წვეთია, მას უნდა მიეღო ის გადაწყვეტილება, რასაც კონსტიტუცია ავალებდა. თუმცა, კინკლაობამ პრემიერსა და პრეზიდენტს შორის, რომელთაც თავ-თავიანთი საბჭოები ჰყავთ, უარყოფითი როლი ითამაშა.

„სამი დონე უნდა არსებობდეს: ფედერალური, რეგიონალური და ლოკალური. ამ ტრაგედიისას არც ერთი დონე არ მოქმედებდა. კრიზისების მართვის საბჭო, ეს დუბლირებული სისტემა, რისთვის შეიქმნა, გაურკვეველია. ჯერ ერთი, განგაშის სისტემა არ არსებობს, ბუნებაში არ არსებობს ეს დონეები. კი, ბატონო, ჯანელიძე დარბის და ფაფხურობს, რაღაცას მაინც აკეთებს, მაგრამ ირინე იმერლიშვილი რას აკეთებს და რას აკეთებს პრეზიდენტი? ეს არავინ იცის. ჯანელიძე გამოვიდა და, ვინდე ზოოპარკის დირექტორსო. ამის გამო დღეს კიდევ ვეფხვმა დაგლიჯა ადამიანი. ასეთი უპასუხისმგებლობა შეიძლება? ესაა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, ესაა ქაოსი და ანარქია. შეიარაღებულმა ძალებმა აშკარად დააგვიანეს და ესაა პრეზიდენტის ბრალეულობა. ვერტმფრენები ჰქონდა მხოლოდ შეიარაღებულ ძალებს, ანუ არმიას და შს სამინისტროს. სად იყო ვერტმფრენები? მაშინ დაიშალოს პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭო. აუცილებლად უნდა შეიქმნას საგანგებო სიტუაციების სამინისტრო, დაიხვეწოს კრიზისების მართვის სტრუქტურა და ეს უშუალოდ გადავიდეს ერთი ადამიანის ხელში და არა პრეზიდენტისა და პრემიერის ხელში. გუშინაც ჩავედი, რომ მონაწილეობა მიმეღო გაწმენდით სამუშაოებში, მაგრამ უკან გამაბრუნეს, „ვისოლთან“ გადაკეტილი ჰქონდათ გზა და აბრუნებდნენ უკან“, – აცხადებს **ვახტანგ მაისაია**, რომელიც მიიჩნევს, რომ ახლა ფუფუნების დრო არ არის და დღეს არსებული უშიშროების საბჭოს დაშლის შემდეგ ახალი სტრუქტურული ერთეული უნდა შეიქმნას.

მით უმეტეს, ჯერ კიდევ არ ვიცით, ტერორიზმის საფრთხე რამდენად გველის პანკისში განვითარებული სიტუაციის გამო. ექსპერტის თქმით, სპეცოპერაციის დროს აიუფ ბორჩაშვილი დაიჭირეს და ისლამური ხალიფატის წარმომადგენლად წარმოაჩინეს, თუმცა, მტკიცებულებები არ ჩანს და დაჭერის მიზეზი დამაჯერებელი არ არის, რაც წინა ხელისუფლების მანკიერი საქმის გაგრძელებაა, როცა ადამიანებს უმძიმეს დანაშაულში „ამხელდნენ“.

გარემოს დაცვის ყოფილი მინისტრი ნინო ჩხობაძე ამბობს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს მტკვრისა და ვერეს ხეობაში განგაშის სისტემა ფუნქციონირებდა. მართალია, მისი მინისტრობის დროს განგაშის სისტემა უკვე მოშლილი იყო, თუმცა, მის მიერ გამოცემული ბრძანების თანახმად, ქალაქს ჰყავდა სპეციალური სამსახური, რომელსაც უფლებამოსილება ჰქონდა, გამოეცხადებინა განგაში. ნინო ჩხობაძე დღესაც თვლის, რომ ყველა მდინარესთან განგაშის სისტემა ვერ იქნება, მაგრამ მდინარე მტკვრისა და ვერეს შემთხვევაში, ეს სისტემა უნდა იყოს.

შესაბამისად, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ჩნდება ლოგიკური შეკითხვა – რატომ არ გაითვალისწინა მთავრობამ ორი კვირის წინათ მომხდარი ფაქტი, თამაზ ელიზბარაშვილის ცხოველთა თავშესაფრის დატბორვის სახით და რატომ არ გაატარა პრევენციული ზომები?

მანანა ნოზაძე

◎ აქტუალური ინტერვიუ

მყოფ ცხოველზე შეიძლება, საერთოდ არ იმოქმედოს

სწორად არაა შერჩეული, რადგან მდინარე ვერე სანდო არ არის.

– დიახ, ტერიტორია ისე უნდა შეირჩეს, რომ ასეთი რამეები ავიცილოთ. მომხდარის შემდეგ ადამიანებმა დასკვნა უნდა გამოიტანონ. ეს ტრაგედია მართლაც მოხდა დიდი ხნის წინათ. ამ გადასახედიდან შეგვიძლია, ვთქვათ, რომ არ იყო კარგი ადგილი შერჩეული. თუმცა, შეიძლება, სხვაგანაც გაკეთდეს ზოოპარკი და იქაც კატასტროფა და ბუნებრივი სტიქია დატრიალდეს. მაინც ვფიქრობ, რომ თავის დროზე ზოოპარკის ტერიტორია კარგად შეარჩიეს, რადგან მაშინ ეს იყო ქალაქის გარეუბანი, არც ვაკის უბანი იყო, არც საბურთალოსი. გაცილებით უფრო დიდი იყო ტერიტორია და ჰქონდა პატარა მიკროკლიმატი. მოგვიანებით უკვე გაიზარდა თბილისი, იმატა მოსახლეობამ და ნელ-ნელა ზოოპარკი მოექცა ქალაქის ფარგლებში, გაშენდა ხილიანის ქუჩა, მზიური და სხვა.

– თბილისის ზოოპარკისთვის განსაზღვრული მომავალი ადგილი – თბილისის ზღვის ტერიტორია რამდენად უსაფრთხოა?

– იქ მდინარეები არ არის. არაგვი და იორი აბსოლუტურად სხვა მხარეს მიედინება და არა იმ ტერიტორიაზე, რომელიც გამოიყო თბილისის ზოოპარკისთვის. ამ კუთხით ზოოპარკი დაცული იქნება. მაგალითად, ერევნის ზოოპარკში, რომელიც ტერიტორიის მიხედვით ჩვენზე გაცილებით დიდია, თითქმის ოთხჯერ უფრო მეტია, შუა ზოოპარკში ჩამოდის მდინარე, რომელსაც ჩვენი სომეხი კოლეგები იყენებენ ზოოპარკის საჭიროებისამებრ. ეს მდინარე ძალიან მოსახერხებელი და კარგია ცხოველებისთვის, ფრინველებისთვის, წყლის ბინადრებისთვის, რომლებიც იქ ბანაობენ, ცურავენ. ასე რომ, მაინცდამაინც მარტივი არ არის, რომ მდინარის ნაპირზე უარი ვთქვათ. პირიქით, ეს კარგია ლანდშაფტისთვის, ზოგადი სიტუაციისთვის, მაგრამ, როცა ასეთი ბუნებრივი კატაკლიზმები ხდება, უნდა დავფიქრდეთ. ისე, უცხოეთშიც არის ზოოპარკები, სადაც მოედინება მდინარე და იმდენად დიდი ყურადღება ექცევა ამას, რომ იქ ხელოვნური არხებიც კი გააკეთეს, რომ ცოტა მრავალფეროვანი გამხდარიყო ლანდშაფტი.

მანანა ნოზაძე

რადგან ცირკი რამდენიმე ასეულ მეტრშია ზოოპარკიდან. ზარალის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით, სანამ საბოლოოდ არ გვეცოდინება დაღუპული ცხოველების რაოდენობა. უწინარესად, აუნაზღაურებელია ჩვენი თანამშრომლების დაღუპვა, ერთი ქალბატონის და ორი მამაკაცის.

– გულიკო ჭიტაძე, რომელსაც ამ რამდენიმე კვირის წინათ ვეფხვი დაესხა თავს და კიდურის ამპუტაციაც ჩაუტარდა, ამბობდა, რომ ვეფხის ბოკვერი მას უბრალოდ ეთამაშებოდა და ის მზად იყო, ზოოპარკში თავის ცხოველებს დაბრუნებოდა. რის გამო დაიღუპა იგი – წყალში დაიხრჩო თუ ცხოველებმა დაგლიჯეს?

– სამივე ადამიანი სტიქიის შედეგად დაიღუპა. ისინი ზოოპარკში იყვნენ, მოყვნენ მტაცებელი განყოფილების შენობაში და იქ დაიღუპნენ.

– ანუ შეგნებულად მივიდნენ, რომ გადაერჩინათ ცხოველები?

– არა, იქ იყვნენ, იქ მორიგეობდნენ და ამ დროს მოხდა ტრაგედია.

– ამ გადასახედიდან ფიქრობთ, რომ ზოოპარკის გადატანა აჯობებდა?

– ლოგიკურად, რომ გადატანილიყო ზოოპარკი, ცხოველები არ დაიხრჩობოდნენ და არც ჩვენი თანამშრომლები დაიღუპებოდნენ. წინასწარ ვერავინ განსაზღვრავდა, ეს ამბავი მოხდებოდა თუ არა. თუმცა, გადარჩნენ ინდური სპილოები, თეთრი მარტორქა, ბეჰემოთი, აბსოლუტურად ხელშეუხებელია ეგზოტარიუმი, სადაც გველები და თევზები ბინადრობენ, ჩლიქოსან ცხოველებს, ფრინველების ნაწილს არ შეეხო არაფერი, საბედნიეროდ, კოლექციის დიდი რაოდენობა გადარჩა.

– ამ კრიტიკულ მომენტში რა თვისებები გამოავლინეს ცხოველებმა? აგრესია ხომ არ წამოვიდა თანამშრომლებისკენ?

– არანაირი აგრესია, ნებისმიერ სიტუაციაში ცხოველები იქცევიან ისე, როგორც მათ უკარნახებს ინსტინქტი. ეს ფორსმაჟორი იყო ჩვენთვის, თორემ ცხოველები იქცევიან ინსტინქტის მიხედვით.

– იყო სტრესული მომენტიც და ბეჰემოთს დასამშვიდებლად გაუკეთდა ინიექცია.

– რა თქმა უნდა, ცხოველებისთვის არსებობს რიგი სამედიცინო პრეპარატებისა, რომლებიც მათზე დამამშვიდებლად მოქმედებს. იმისთვის, რომ ჩვენი ბეჰემოთი თავისი ფეხით შემოსულიყო ზოოპარკში, მას გავუკეთეთ დამამშვიდებელი პრეპარატები, თორემ არ მოდიოდა თვინიერად და ამის შემდეგ შევიყვანეთ ზოოპარკში.

– მართალია, რომ გარკვეული ხნის შემდეგ მოქმედებს ეს პრეპარატი და ამიტომ გადაწყვიტეს ზოგიერთი ცხოველის სასწრაფოდ მოკვდინება?

– როდესაც ცხოველი სტრესულ მდგომარეობაშია, მათზე შეიძლება დამაძინებელმა მედიკამენტმა საერთოდ არ იმოქმედოს, ან მოქმედებს გარკვეული წუთების მერე. ვიმეორებ, უწინარესად დაცული უნდა იყოს ადამიანის სიცოცხლე და ცხოველების უფლებები. თუ მტაცებელი ცხოველი უტევს ადამიანს, ორი აზრი არაა, ცხოველი უნდა იყოს ლიკვიდირებული. მაგრამ თუ შესაძლებლობაა, რომ ცხოველი დავაძინოთ და ამის შემდეგ დავაბრუნოთ თავის საბინადრო ადგილას, უნდა გამოვიყენოთ ეს ხერხი, ანუ შესაძლებელია, მოშორებით ვესროლოთ ნემსი ისე, რომ თავი საფრთხეში არ ჩავიგდოთ.

– 60-იან წლებშიც ადიდდა მდინარე ვერე და ზოოპარკის ბინადრები შეიწირა. როგორც ჩანს, ზოოპარკის ადგილი მთლად

◎ ტურისტული ჩრდილნათელი

„ნუ დაპანიკდებით ყოველთვის, როდესაც ტურისტების რაოდენობა შემცირდება“

„ნუ დაპანიკდებით ყოველთვის, როდესაც ტურისტების რაოდენობა შემცირდება“, — მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის ეს რეკომენდაცია, ალბათ, ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს აღაშფოთებდა, რადგან ის გამუდმებით მასობრივი ტურიზმის დანერგვაზე საუბრობდა და არ ითვალისწინებდა რეალობას, შეეძლო კი ღარიბ ქვეყანას უამრავი ტურისტის მიღება ისეთ პირობებში, სადაც მეორედ ჩასვლის სურვილი ტურისტს არ გაუჩნდებოდა?!

სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის მდგრადი განვითარების პროგრამების ხელმძღვანელი **აჰმედ ეივეიდა** საქართველოში ტურიზმის განვითარების ხედვაზე საუბრობს და აცხადებს, რომ მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა, და საქართველოში ტურისტები უნდა ჩამოვიდნენ მაღალმხარჯველი ქვეყნებიდან.

„ჩვენ არ გვინდა, საქართველო გადავაქციოთ მასობრივი ტურიზმის ადგილად, რომელიც ზიანს მიაყენებს როგორც საქართველოს ბუნებას, ასევე, კულტურულ ძეგლებს, კულტურულ მემკვიდრეობას. მთავარია ხარისხი, თუ რამდენს დახარჯავენ ჩამომსვლელები. მთავარია, რომ ჩვენ მეტი ჩამომსვლელი ჩამოვიყვანოთ უფრო მაღალმხარჯველი ქვეყნებიდან. ამიტომ ნუ დაპანიკდებით ხოლმე, როდესაც მცირდება ჩამომსვლელთა რაოდენობა“, — განაცხადა აჰმედ ეივეიდამ.

პარალელურად, საქართველოს მთავრობამ ტურიზმის ახალი სტრატეგია წარადგინა, რომელშიც აქცენტი არა ტურისტების რაოდენობაზე, არამედ მათ ფინანსურ შესაძლებლობებზეა გადატანილი. 2015-2025 წლების ტურიზმის სტრატეგია მსოფლიო ბანკის მიერ დაქირავებული ექსპერტის დახმარებით მომზადდა და მისი მიხედვით, საინტერესო გამოცდილების მიღება უნდა შევთავაზოთ ტურისტებს, მეტი მხარჯველი უნდა ჩამოვიყვანოთ და ტურისტი, რომელიც მეტ ფულს დახარჯავს საქართველოში, წვლილს შეიტანს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში.

სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, ორჯერ უნდა გაიზარდოს ვიზიტიორებისა და ტურისტების რაოდენობა დასავლეთ ევროპის, აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის შედარებით მდიდარი ბაზრებიდან, ხოლო თითოეული ვიზიტიორის მიერ დახარჯული თანხა 320 დოლარიდან 365 დოლარამდე უნდა ავიდეს.

პარალელურად, მთავრობა მიიჩნევს, რომ მაისში ტურისტების ზრდა მათი წარმატებული პოლიტიკის შედეგია. თუმცა, სხვაგვარად ფიქრობენ ტუროპერატორები და სასტუმროების მფლობელები. ისინი მაისის მაჩვენებლის ზრდას ორ ფაქტორს უკავშირებენ — თბილისში იბიარდის კონფერენციის გამართვას და ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით მეზობელ ქვეყნებში არდადეგების გამოცხადებას.

ტურიზმის ექსპერტი **შალვა ალავერდაშვილი** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ მასობრივი ტურიზმის განვითარებისგან ჯერ ძალიან შორს ვართ და, სულ მცირე, 1000%-ით უნდა გაიზარდოს ტურისტების რაოდენობა ჩვენს ქვეყნაში. იგი მარტივ მაგალითზე საუბრობს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მდებარე 5-ათასკაციანი ქალაქი გატლინბურგი, რომელიც ადგილმდებარეობით ზუსტად აბასთუმნის მსგავსია, წელიწადში ათ მილიონ ტურისტს იღებს 52 ათას სასტუმროს ნომერში, მარტო სამუშაოდ იქ ჩადის 60 ათასი ადამიანი და ქალაქში გამოყოფილია სპეციალური სამუშაო ადგილები. ასე რომ, ვერც მიხვდებით, თუ დაცული ტერიტორიებითა და უამრავი ატრაქციით მომხიბვლელ ამ ქალაქს ყოველწლიურად ათი მილიონი ტურისტი სტუმრობს. შესაბამისად, შალვა ალავერდაშვილი თვლის, რომ ჩვენმა სამმილიონნახევრიანმა ქვეყანამ, მინიმუმ, ათი მილიონი რეალური ტურისტი რომ მიიღოს (და არა უბრალოდ ვიზიტიორი), ეს ჩვენთვის ნამდვილად იქნება ტურიზმის განვითარება.

„რეალურად, ერთ მილიონზე მეტ ტურისტს წელიწადში არც ვიღებთ. ამიტომ მასობრივ ტურიზმზე საუბარი საქართველოში ნაადრევია. არ ვიზიარებ აჰმედ ეივეიდას განცხადებას, რომ თურმე მასობრივი ტურიზმი საქართველოში კულტურულ ძეგლებსა და ბუნებას დააზიანებს. მასობრივ ტურიზმამდე საქართველო კიდევ ათი წელი მაინც ვერ მივა. თავად აჰმედ ეივეიდა ეგვიპტელია, ეგვიპტეში სწორედ მასობრივი ტურიზმია განვითარებული და ამით რამე დაუშავდა ეგვიპტურ პირამიდებს?! ასევე, ბოლო 15-20 წელიწადია, მასობრივი ტურიზმი განვითარდა თურქეთშიც და ამით თურქეთმა მხოლოდ მოიგო. მართალია, თურქეთის მიერ არაერთი კულტურული ძეგლი მითვისებულია, მაგრამ ტურისტის თვალში ისინი მაინც თურქულ ძეგლებად აღიქმება. ამით მოიგო თურქეთის თითქმის ყველა სეგმენტმა — სოფლის მეურნეობამ, მრეწველობამ“, — აღნიშნა შალვა ალავერდაშვილმა.

ასევე განმარტა, რომ კატეგორიულად არ ეთანხმება სტერატეგიული დოკუმენტის იმ ნაწილსაც, სადაც აქცენტი კეთდება ტურისტების არა რაოდენობაზე, არამედ ფინანსურ შესაძლებლობაზე. ამ შემთხვევაში, ექსპერტი სასტუმროს წარმომადგენლის რანგში საუბრობს და აცხადებს, რომ იგი ტურისტებს არ ჰყოფს ნაციონალობის, კუთხურობის მიხედვით. ეს იგივეა, კაფეში შევიდეს ადამიანი, მხოლოდ ერთი წვენი შეუკვეთოს, ერთი საათის განმავლობაში იჯდეს და ათვალიერებდეს მის მდგომარეობას. ასეთი კლიენტი ისევე ფასეულია, როგორც ათი კლიენტი, რომელიც შეუკვეთავს ათასლარიან სუფრას, რადგან მარტოდმყოფი ადამიანი, შესაძლოა, აკვირდება სიტუაციას და ხვალ მისგან ასკაციანი შეკვეთა მივიღოთ. ასევეა, ქვეყნების შემთხვევაშიც. შესაძლოა, სხვა ქვეყნის რომელიმე ტურისტულმა სააგენტომ, უბრალოდ, დასაზვერად გამოუშვა ერთი ტურისტი და მას შეიძლება უამრავი ტურისტი მოჰყვეს.

„თუ ფიქრობენ, რომ ახალი სტრატეგიით, ღარიბი ქვეყნებიდან ტურისტები არ უნდა მიიღონ, ცდებიან. ჯერ ერთი, საინტერესოა, რომელია ღარიბი ქვეყანა? როგორც წესი, ადამიანები, რომლებსაც ლუკმა-პური არა აქვთ, სამოგზაუროდ არც დადიან. ასე, საქართველოც ღარიბ ქვეყნად ითვლება, მაგრამ სხვა ქვეყნებში რომ ჩადიან ქართველები, როგორ იწონებენ თავს ფულის ფლანგვით?!

ჩვენს თავზე წარმოვიდგინოთ, უფრო მეტს ვხარჯავთ უცხოეთში, ვიდრე ნებისმიერი მდიდარი ქვეყნიდან ჩასული ტურისტი, რომელსაც ასეთი რამით ვერ გააკვირვებ. ამიტომ უფრო მეტი გადახდისუნარიანი შეიძლება გვესტუმროს იმ, ერთი შეხედვით, „ღარიბი“ ქვეყნიდან. ტურიზმის განვითარების საწყის ეტაპზე ნუ მოველით, რომ პირდაპირ მდიდარი ტურისტები გვეწვევიან. ამას თავისი ეტაპები აქვს. თავდაპირველად, წლების განმავლობაში ჩამოდიან ე.წ. იაფი ტურისტები. ეს ხალხი უკან ბრუნდება, ჰყვება საქართველოში განცდილი ტურისტული თავგადასავლის შესახებ და ამის შემდეგ იწყება სეგმენტების განვითარება.

მაგალითად, თავდაპირველად ისრაელიდან დაიწყო შედარებით დაბალ გადამხდელუნარიანი ტურისტების ჩამოსვლა, ახლა უკვე ჩამოდიან საშუალო დონის გადამხდელები, სადღაც ორ-სამ წელიწადში კი ეს უფრო მაღალ გადახდისუნარიანი სეგმენტით ჩანაცვლდება“, — აღნიშნა ექსპერტმა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ყოფილი ხელმძღვანელი მაია სიდამონიძე, რომელიც პარალელურად, ტურისტულ სააგენტოს ფლობს, მიიჩნევს, რომ რატომღაც ჩვენმა ხელისუფლებამ მთავარი აქცენტი მარკეტინგულ აქტივობებზე გადაიტანა რუსეთსა და უკრაინაში. ეს შეცდომა იყო, რადგან ორივე ქვეყანაში დღეს ფინანსური კრიზისი და კონფლიქტური სიტუაციაა. ამიტომ ბაზრების დივერსიფიკაცია მნიშვნელოვანია, საჭიროა ახალ ბაზრებზე გასვლა და მარკეტინგული ღონისძიებების გატარება.

მანანა ნოზაძე

◎ ალიან-ჩალიანი

ესპანელი ბიზნესმენების დაინტერესება

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ესპანელ ბიზნესმენთა ჯგუფი მიიღო, რომლებიც საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაცნობის მიზნით არის ჩამოსული.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრას ასევე დაესწრნენ საქართველოს ელჩი ესპანეთში ზურაბ პოლოლიკაშვილი, თბილისის ვიცე-მერი დიმიტრი ქუმსიშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი, საპარტნიორო ფონდის გენერალური დირექტორი ირაკლი კოვზანაძე და სხვა ოფიციალური პირები.

უწყების ცნობით, შეხვედრაზე საუბარი წარიმართა თბილისში გასტრონომიული სადეგუსტაციო ტურისტული სავაჭრო ცენტრის ორგანიზებაზე, რომლის მსგავსიც ესპანეთის დედაქალაქ მადრიდის ისტორიულ ნაწილში მდებარეობს. ტურისტული ბაზრობა მერკადო დე სენ მიგელი უცხოელ ტურისტებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობს.

ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, თბილისში ნამდვილად არის მოთხოვნა თანამედროვე, მაგრამ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებზე დაფუძნებული გასტრონომიული სადეგუსტაციო ტურისტული სავაჭრო ცენტრის მოწყობაზე. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველოში ვიზიტისას ესპანელი ინვესტორები თბილისში დაათვალიერებენ რამდენიმე ობიექტს, სადაც შესაძლებელია, ესპანური „მერკადოს“ ტიპის ტურისტული სადეგუსტაციო სავაჭრო ცენტრი განთავსდეს. ესპანელი ბიზნესმენები თბილისში ორ დღეს დარჩებიან.

თბილისი ემიგრანტებისთვის ყველაზე იაფი ქალაქების ათეულში მოხვდა

საკონსულტაციო კომპანია Mercer-ის 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს თბილისში ცხოვრება იაფი უჯდებათ.

ყველაზე იაფი ქალაქების ათეულში ასევე მოხვდა ნიკარაგუის დედაქალაქი მანაგუა, სამხრეთ აფრიკის დედაქალაქი კეიპ-ტაუნი, ასევე ბელორუსის, გამბიის, მაკედონიის, ტუნისის, პაკისტანის, ნამიბიისა და ყირგიზეთის დედაქალაქებიც.

რაც შეეხება ყველაზე ძვირიან ქალაქებს უცხოელებისთვის, პირველ ადგილას Mercer-ის რეიტინგის მიხედვით, ანგოლის დედაქალაქი ლუანდა გავიდა. მას მოჰყვება ჰონგ-კონგი, ციურიხი, სინგაპური, ჟენევა, შანჰაი, პეკინი, სეული, ბერნი და ჩადის დედაქალაქი ნჯამენა.

ექსპერტების განცხადებით, ყველაზე ძვირიანი ქალაქები ძირითადად აზიური, კერძოდ კი, ჩინეთის ქალაქებია, რაც ჩინური ეროვნული ვალუტის გაძლიერებამ გამოიწვია. ასევე ათეულში მოხვდა შვეიცარიის სამი ქალაქიც. რაც შეეხება მოსკოვს, მან წინა წლის რეიტინგთან შედარებით, წელს 41 ადგილით უკან დაიწია და 50-ე ადგილი დაიკავა, ეს რუბლის გაუფასურებამ გამოიწვია. ლონდონმა კი ყველაზე ძვირიან ქალაქებს შორის თავისი პოზიცია შეინარჩუნა და კვლავ მე-12 ადგილას დარჩა.

მსოფლიოში 60 მილიონამდე დევნილია

მსოფლიოში ომის, კონფლიქტის ან დევნის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. გაეროს ანგარიშის თანახმად, 2014 წლის განმავლობაში იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვმა 60 მილიონი შეადგინა.

გაეროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მხოლოდ გასულ წელს მათი რაოდენობა 8,3 მილიონით გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში 2014 წლის განმავლობაში ყოველდღიურად საშუალოდ 42 500 ადამიანი ხდებოდა იძულებული, საკუთარი სახლი დაეტოვებინა. როგორც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლები აცხადებენ, ამის მთავარი გამომწვევი მიზეზი სირიის კონფლიქტი გახდა.

ინტერპრესი

◎ ფართო გზა მივცეთ

ჭვავის ფქვილი

ადამიანის ფიზიკურ დატვირთვას და ჯანსაღ ცხოვრებას სწორი კვება განაპირობებს, ამიტომ ჯანსაღი კვების მიმდევრები სულ უფრო მრავლდებიან.

ცნობილია, რომ პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტი პურია. მას დღეს მსოფლიოს 60%-ზე მეტი მოიხმარს. თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთმა ქვეყნებმაც კი, როგორებიც ჩინეთი, კორეა, მონღოლეთი და იაპონიაა, დაიწყეს მასობრივად პურის მოხმარება და მოყვანა. პური მართლაც არაჩვეულებრივი პროდუქტია, რომელიც ადამიანს ენერგეტიკაში ეხმარება. გაჩნდა სხვადასხვა ნაირსახეობის პურ-პროდუქტები სხვადასხვა რეცეპტურითა და გემოვნების ნაციონალური ასორტიმენტებით.

ბოლო დროს სულ უფრო მეტი მეცნიერი და მკვლევარი ჭვავის ფქვილის არაჩვეულებრივ თვისებებსა და კვებით ღირებულებას აღნიშნავს, ამიტომ მიმაჩნია: ადამიანებმა მეტი უნდა იცოდნენ ამ პროდუქტის შესახებ.

ცნობილია ფქვილის ორი სახეობა: ხორბლის ფქვილი და ჭვავის ფქვილი.

ჭვავის ფქვილი მდიდარია მიკროელემენტებით და საჭირო ცილებით. მისი კვებითი ღირებულება ხორბლის ფქვილის კვებითს ღირებულებაზე ბევრად მეტია. სამწუხაროდ, ჩვენში ამ ფქვილისაგან დამზადებული პურის მოხმარების ტრადიციები მოკრძალებულია, ხოლო საკონდიტრო ფქვილოვანი ნაწარმი საერთოდ არ გვხვდება. ვერც მაღაზიაში ნახავთ დაფასოებელ ჭვავის ფქვილს. ამ ფქვილის შემომტანი ფირმები თითოოროლაა. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჭვავის ფქვილს მაღალი მჟავიანობა აქვს, თუ I ხარისხის ხორბლის ფქვილში მჟავიანობა 4-5-ია, ჭვავში 10-12-ია. ტექნოლოგებმა იციან, რომ ასეთი ფქვილის გადამუშავებას 3-ფაზიანი შრომატევადი პროცესი სჭირდება, ჩვენში მხოლოდ შავი პურისათვის თუ იყენებენ ჭვავს. ევროპულ ქვეყნებში კი მას თეთრ ასორტიმენტშიც უმატებენ გემოვნური თვისებების გაზრდისათვის. ასეთი ნარევი პურს უნარჩუნებს სირბილესა და კომერციული თვალსაზრისითაც მისაღებია.

ჩემი მაგისტრანტის დავით რევაზიშვილისაგან საინტერესო ინფორმაცია მივიღე: კახეთში ჭვავის გამოყენებით ხორბლის ფქვილთან 50-50-ზე შერევით გასულ საუკუნეში თურმე ცხვებოდა პური „მურსა“ და „საგარეჯოული“. წინაპრები ასეთ პურს მჭადპურას ეძახდნენ. ეს პური დიდხანს ინახავდა საგემოვნო თვისებებს და უგემრიელესი ყოფილა (კახეთში თურმე ამ პურს პირდაპირ „დედასაც“ ეძახდნენ). საინტერესო ისიც გახლავთ, რომ სიტყვა „მჭადი“ ბევრად ადრე გაჩნდა, ვიდრე მჭადის ფქვილი და სიმინდის კულტურა შემოვიდა საქართველოში. ასეთი ასორტიმენტები განსაკუთრებით თურმე ცხრაასიან წლებში მასობრივად მოიხმარებოდა. ამის შემდგომ ჩვენში ჭვავის მოყვანის შემცირება და გაქრობა მოჰყვა. ჩვეულებრივი ფქვილი უფრო ადვილი გადასამუშავებელი გახლავთ. სხვათა შორის, ამას წინათ ტელევიზიაში პროგრამა „რა, სად, როდის“? შეკითხვაც დაუსვეს მოაზროვნეებს. გიორგი მე-12 სუფრაზე მისდიოდა 6 სახეობის კერძი. 5 სახეობა ჩამოთვალეს და შავ ყუთში აღმოჩნდა შოთი, რომელიც სწორედ ასეთი სახით იყო დამზადებული.

სიმართლეს თვალს თუ გაუსწორებთ, ჭვავის ფქვილი წებოვანია და გადამუშავებისას საკმაოდ პრობლემატური. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მასობრივად შემოვიდა ინტენსიური (სწრაფი) ტექნოლოგიები. ამიტომაც ბოლო ხანებში სულ უფრო ფეხს იკიდებს სხვადასხვა დანამატებით გამდიდრებული რუხი და შავი პურის ასორტიმენტები და წარმოება. რა დასამალია და, კომერციულმა ფსევდოდიეტურმა და თითქოს გასუქების საწინააღმდეგო ასორტიმენტებმა, ხმამაღალმა რეკლამებმა, რომლებიც, სამწუხაროდ, არავითარ მეცნიერულ კვლევებს არ ეფუძნება, ბევრი შეიყვანა შეცდომაში.

მოტყუებულია არა მხოლოდ მომხმარებელი, ამან ზოგ მეცნიერშიც კი გამოიწვია სკეპტიციზმი. სწორედ ამან განაპირობა ამ წერილის მომზადება. ეს პრობლემა სხვა ქვეყნებშიც არის, ამას აღნიშნავს მსოფლიო დიეტოლოგთა ასოციაცია. ამ საკითხზე ჩატარდა არაერთი სამეცნიერო კონფერენცია, რომლებსაც წითელ ხაზად გასდევდა ჭვავის ფქვილის როგორც პურში, ასევე ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმში გამოყენება, განსაკუთრებით ბავშვთა კვებაში. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ჭვავის ფქვილი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გასუქების საწინააღმდეგოდ. ეს პროდუქტი ორგანიზმს აწვდის საჭირო მინერალებსა და ცილოვან ცვლას.

ჭვავი ეკოლოგიურად სუფთა კულტურაა, ის კარგად უძლებს როგორც კლიმატურ ცვლილებებს, ასევე ბუნებრივ კატაკლიზმებს. ჭვავზე დამზადებულ პროდუქტებს რეკომენდირებენ ონკოლოგებიც, რაც საყურადღებო ფაქტია, ძალიან სასარგებლოა ამ პროდუქტით დამზადებული ფაფები, მუსები, რომელიც მდიდარია ვიტამინ-ლიზინით, ლანოლინის მჟავით და მდიდარი მიკროელემენტებით, რაც ასე აუცილებელია კუჭ-ნაწლავის ნორმალური მუშაობისთვის. ძალიან უბრალო ენით რომ განვმარტო, როგორც მანქანას ესაჭიროება საპოხი ძრავისთვის, ასე ესაჭიროება კუჭ-ნაწლავს „ჭვავი“ (მასზე მომზადებული პროდუქტები).

საინტერესოა ფინელი ექიმების კვლევა ენდოკრინული პრობლემებით დაავადებულთათვის. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ არავითარი ფსევდოშაქარსაწინააღმდეგო დანამატები, რომლებიც ასე მომრავლდა ბოლო ხანებში, ისეთ ეფექტს არ იძლევა, როგორსაც ჭვავის პურის მოხმარება და ამასთან დაკავშირებით გაავრცელეს შესაბამისი პროგრამა შაქრით დაავადებულთავის. როგორც ფინელი მეცნიერები აღნიშნავენ, ჭვავის პური 50 სასარგებლო საკვებ ნივთიერებას შეიცავს. დიეტოლოგები რეკომენდირებენ მარცვლოვანი პროდუქტის პირამიდას, რომელიც ნახშირწყლებს შეიცავს. ისინი აღნიშნავენ, რომ ნახშირწყლები, რომელსაც ვიღებთ, იყოს „ნელი“. რას ნიშნავს ეს? ორგანიზმი მათ ითვისებს თანდათანობით, თანამიმდევრულად და ინარჩუნებს ენერგიის წყაროს. სწორედ ამ მოთხოვნებს პასუხობს 100% ჭვავის პური და სწორედ ასეთი პურია აქცენტირებული ფინეთში და სხვა ევროპულ ქვეყნებში. დიაბეტით დაავადებულ ადამიანებს სწორედ ასეთ პროდუქტზე დამზადებულ პურს უნდა სთავაზობდნენ. ჭვავის ასორტიმენტის გამოშვებაზე საჭიროა მოსახლეობის სათანადო ინფორმირება, რათა მათ იცოდნენ, რამდენად სასარგებლოა ჭვავზე დამზადებული პროდუქტები. ჭვავის პურის სიმჟავე ხელს უწყობს კუჭის პერესტალტიკას (სწრაფად გადამუშავების უნარს).

ამ დარგში მრავალი წლის გამოცდილება მაქვს. ახალ-ახალი ინფორმაცია, მსოფლიო გამოცდილება, ტექნოლოგიური სიახლეები საჭიროა, მოსახლეობამდეც მივიდეს, რადგანაც ბოლო ხანებში აშკარად კომერციული ფსევდოდიაბეტური და დიეტური ასორტიმენტების დიდი მომრავლებაა. ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის (დაჩქარების) ხელშესაწყობად დაიწყეს ფერმენტებისა და სხვადასხვა დანამატის გამოყენება სტაბილური სახის პროდუქციის მისაღებად.

ბევრი მეკითხება და ხშირად უხერხულ მდგომარეობაშიც ვვარდები, როდესაც ამასთან დაკავშირებით ავტორიტეტულ მეცნიერთა გამონათქვამებსა და ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებულ სტატიებს ვეცნობი, ყველაზე საყურადღებო კი ის გახლავთ, რომ ამ თემაზე ყველა საუბრობს საქმეში ჩახედული ადამიანების, პროფესიონალი სპეციალისტების გარდა. შედეგებიც გამოკვეთილია, გაჩნდა ხმამაღალი რეკლამები „შაქარი ნული“ „საფუარის გარეშე“ „შეღებვის გარეშე“ „დანამატის გარეშე“ „ნაღდი პური“... გაჩნდნენ „მანუგეშებლები“ და „მამუქთებლები“. სულ ბოლოს ეტიკეტირების არასამთავრობო ორგანიზაციამ, იმის მაგივრად, რომ სწორედ ამ საკითხებზე გაემახვილებინა ყურადღება, აღმოაჩინა, რომ პურის წონა ხარისხი ყოფილა და კითხვის ნიშნები დასვა „უვნებლობა“-მავნებლების შესახებ. რადიომ და ტელევიზიამ კი სწორედ მათ დაუთმო დრო და არა შესაბამისი დარგის პროფესიონალებს, ვისაც შეუძლია სწორი განმარტებების მიცემა, გაზეთმა რეზონანსმა“ კი მ.წ. 26 მაისს სტატია გამოაქვეყნა პურის ხარისხის კვლევის სავალალო შედეგებზე.

წერილს იმითვე დავასრულებ, რითაც დავიწყე. პური პირველადი მოხმარების პროდუქტია. მას მსოფლიოში 60% მეტი მოიხმარს, ის 200-250 გრადუსზე ცხვება, რაც უვნებლობის თვალსაზრისით ყოველგვარ რისკს გამორიცხავს. რაც შეეხება დიეტასა და ამასთან დაკავშირებულ საკითხებს, ჩემი მოსაზრება ამ წერილში გადმოგეცით.

მალხაზ დოლიძე,
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

◎ ექსპორტი

ღვინოც გაგვაქვს, თხილიც, მაგრამ სხვაც ხომ ბევრი რამ გვაქვს!

ლარის ბოლოდროინდელი დევალვაციის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სხვებთან ერთად ფინანსისტები და ეკონომისტები პროდუქციის ექსპორტისა და ტურისტების მნიშვნელოვან შემცირებას ასახელებენ, რასაც ძნელია, არ დაეთანხმო, ვინაიდან ეს ქვეყანაში ვალუტის შემოდინების უმძლავრესი და უმნიშვნელოვანესი წყაროებია.

შარშანდელი ნოემბრიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი 2015 წლის დამდეგიდან, საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტი, საქონლის ცალკეული სახეობების მიხედვით გარკვეული ზრდის მიუხედავად, მთლიანად განუხრელად მცირდებოდა. ახლა კი, როგორც ჩანს, შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობაში სასიკეთო ძვრები დაიწყო და იმის გარკვეული იმედი გაჩნდა, რომ, წლის დარჩენილ დროში, ვითარება ამ მხრივ თანდათანობით გამოსწორებას განაგრძობს.

ფინანსთა მინისტრის **ნოდარ ხადურის** განცხადებით, **მაისი პირველი თვე იყო, როცა საქართველოში, ფაქტობრივად, ექსპორტის მოცულობა არ შემცირებულა.** ამასთან, საკურორტო სეზონის დადგომასთან. ერთად, ქვეყანაში საგრძნობლად მოიმატა ვიზიტიორთა რიცხვმა.

ამდენად, როგორც ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, ექსპორტთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც ბოლო თვეების განმავლობაში მეტად საგრძნობი იყო (მაგალითად, იანვარში კლებამ 20 პროცენტიც კი შეადგინა!), გარკვეულწილად დაძლეულია. თუმცა კი, ისიცაა, რომ ხშირად სტატისტიკურ მონაცემთა არასწორ ინტერპრეტაციასთანაც გვაქვს საქმე და, როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აღნიშნავს, როცა საქმე ციფრებთან გვაქვს, უწინარესად, სიზუსტე და ერთგვარი სიფრთხილეცაა საჭირო.

— როცა „საქსტატი“ ექსპორტის შესახებ ყოველთვიურ სტასტისტიკას აქვეყნებს, ვთქვათ, ერთ თვეში მისი მოცულობა 20 პროცენტით იყო შემცირებულიო, მომდევნოში კი, ვთქვათ, 15 პროცენტით, ეს დადებითი ტენდენციის ნიშანია, — ამბობს ვიცე-პრემიერი.

ამ მხრივ ყველაზე კარგი შედეგია თხილის ექსპორტის სეგმენტში, რომელიც თანდათანობით მოწინავე პოზიციაზე მკვიდრდება. სასიხარულოა აგრეთვე ისიც, რომ მაისში გაიზარდა ქართული ღვინის გატანაც. კერძოდ, იანვარ-მაისის მონაცემებით, საქართველოდან მსოფლიოს 31 ქვეყანაში ექსპორტირებული იყო დაახლოებით 10,5 მილიონი 0,75 ლიტრის ტევადობის ბოთლი სხვადასხვა დიდი თუ მცირე კომპანიის მრავალი დასახელების ღვინო, იანვარ-აპრილში კი საზღვარგარეთ მხოლოდ 5 მილიონი ბოთლი გავიტანეთ.

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ექსპორტის მოცულობა გაიზარდა ჩვენთვის ისეთ მნიშვნელოვან ბაზრებზე, როგორებიცაა **ჩინეთი** (43 პროცენტით), **იაპონია** (20 პროცენტით), **ამერიკის შეერთებული შტატები** (28 პროცენტით), **ესტონეთი** (16 პროცენტით), **კანადა** (14 პროცენტით) და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საექსპორტო ბაზარზე ორიენტირებულ სამამულო ღვინის დიდი თუ მცირე კომპანიების დასახმარებლად, საპარტნიორო ფონდი საექსპორტო სააგენტოს ქმნის, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა ამოქმედდეს და ჩვენებურ მეღვინეებს საზღვარგარეთ პროდუქციის გატანაში ხელი უნდა შეუწყოს.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის **ირაკლი კოვზანაძის** თქმით, ახალი სააგენტო არსებითად ის ინსტიტუტი იქნება, რომელიც ამ ორგანიზაციის შვილეულ სტრუქტურად ჩამოყალიბდება და შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებს ღვინის ექსპორტის მოცულობის გასაზრდელად. მან ასევე აღნიშნა, რომ ექსპორტის სააგენტო სამ თვეში ამოქმედდება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ბაქო – 2015

კრივი

პირველი ბარიერი სამმა გადალახა

ბაქოში მიმდინარე პირველ ევროპულ თამაშებზე, როგორც გაუწყეთ, რამდენიმე ქართველმა მოკრივემ უკვე მოსინჯა ძალები. 23 წლის გელა აბაშიძემ (69 კგ) პირველ წრეში რუმინელ კონსტანტინ ოლარუს იოლად აჯობა და მეორე წრეში გავიდა, სადაც 20 ივნისს თურქ ონდა სიფალს შეხვდება. თურქი მოკრივე ქართველ მეტოქეზე 5 წლით უფროსია და, შესაბამისად, გამოცდილებაც მეტი გააჩნია – 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე და 2010 წლის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონია. 60 კილოში ოთარ ერანოსიანმა ლატვიელი არტიომს სალავსი დაჯაბნა და ხვალ გზიდან აზერბაიჯანელი ალბერტ სელიმოვის ჩამოშორებას შეეცდება. 64 კილოში ირაკლი მელიქიშვილმა იყოჩაღა – ლატვიელ არტურს აჰმეტოვსს სძლია. მეორე წრეში იგი 21 ივნისს გერმანელ კასტრიოტ სოპასთან გაარკვევს ურთიერთობას.

სამწუხაროდ, თანაგუნდელებს მხარი ვერ აუბეს გიორგი გოგატიშვილმა (56 კგ) და ნიკოლოზ სეხნიაშვილმა (81 კგ), რომლებიც, შესაბამისად, ბრიტანელ ქაის აშფაქსსა და ბულგარელ რადოსლავ პანტალეევთან დამარცხდნენ.

ბატუტზე ხტომა

კოშკაძე ფინალშია

ევროპულ თამაშებში ორი ქართველი ბატუტზე მხტომელიც ჩაება: ვაჟებში თენგიზ კოშკაძემ საკვალიფიკაციო ეტაპზე 104.590 ქულა მოაგროვა და 21 ივნისს ფინალში მეორე ნომრად იასპარეზებს. იგი მეტოქეობას გაუწევს დიეგო განჩინოს (პორტუგალია), ილია გრიშუნინს (აზერბაიჯანი), დმიტრი უშაკოვს (რუსეთი), ულადისლაუ ჰანჩაროუსა (ბელარუსი) და ალან მორანტეს (საფრანგეთი).

გოგონებში თამარ კაკაშვილმა იასპარეზა. 23 მონაწილეს შორის იგი 91.525 ქულით მე-16 ადგილს დასჯერდა.

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

ადრიანა ლიმას ნოსტალგია შეეპარა

თვალსაჩინო მოდელი ადრიანა ლიმა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრაზილიელია, რომლის სახელიც ჩვენი პლანეტის კიდით-კიდემდეა ცნობილი და მისი ყოველი სიტყვა თუ გამონათქვამი უმალ ხდება ხოლმე ბულვარული მედიის გარჩევების, განხილვების და მითქმა-მოთქმის საგანი.

ამასწინათ ადრიანამ ერთ-ერთი ფრანგული ჟურნალისთვის მიცემულ ვრცელ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბრაზილია ბოლო წლებში ძალიან შეიცვალა და იგი უკვე აღარაა ის თბილი, მხიარული და ემოციური ხალხით დასახლებული მზიანი ქვეყანა, როგორც ეს ადრე იყო და რითაც ბრაზილიელები ასე ამაყობდნენ.

ადრიანა ლიმას აზრით, ასევე შეიცვალა ბრაზილიური ფეხბურთიც და იგი სულაც არაა ისეთი თვალსასაერო და ლაღი, როგორც ადრე იყო. ბრაზილიის ესოდენი სახეცვლილება პოპულარული მოდელის აზრით, ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობამ განაპირობა. ბრაზილია თანდათან განვითარებული ქვეყანა ხდება, თუმცა ეს ხალხზე არცთუ დადებითად აისახება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სუმო

ხუთი ქართველის თერთმეტი მედალი

მაკედონიის ქალაქ შტიფში დამთავრდა სუმოისტთა ევროპის თასის გათამაშება, რომელშიც 13 ქვეყნის 280 წარმომადგენელი მონაწილეობდა. საპრიზო ადგილებისთვის ხუთმა ქართველმა იასპარეზა. 18-წლამდელებში ნიკოლოზ სისვაძემ ორი პირველი ადგილი დაიკავა: ჯერ 100 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ხოლო შემდეგ აბსოლუტურ წონით კატეგორიაში თანაგუნდელი შამილ გოგოჭურის ძლევით დაიკავა პირველი ადგილი. ამ უკანასკნელმა ვერცხლის ნადავლს +100 კილოში „ოქრო“ მიუმატა. ამავე წონაში დავით რაზმაძე მესამე იყო. გუნდურში ჩვენმა სამეულმა (სისვაძე, გოგოჭური, რაზმაძე) ოთხ მეტოქეს აჯობა და ოქროს მედალი დაიმსახურა.

ახალგაზრდებს უფროსებმაც აუბეს მხარი. აქ ჩვენი ორი სუმოისტი გამოდიოდა. ავთანდილ ცერცვაძემ მძიმე წონის (+115) ფინალში ბულგარელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ კოჩაკოვს მოუგო და პირველი ადგილი დაიკავა, აბსოლუტური წონითი კატეგორიის გადამწყვეტ პაექრობაში კი თანაგუნდელ გიორგი მეშვილდიშვილს სძლია. ამ ორთაბრძოლამდე მეშვილდიშვილმა ოქროს მედალი – 115 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოიპოვა. ჩვენებმა გუნდურში ნაკრების შემადგენლობის შესავსებად ახალგაზრდები – გოგოჭური და სისვაძე დაიმატეს, ოთხი ორთაბრძოლა მოიგეს და ოქროს მედალი მოიპოვეს. ტურნირზე საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ანზორ მარტყოფლიშვილმაც იმსაჯა.

ქართველი სუმოისტები ახლა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადებიან. ეს შეჯიბრება აგვისტოს მიწურულს იაპონურ ოსაკაში გაიმართება.

ლექსო ციცაძე

სურათზე: მარცხნიდან – გიორგი მეშვილდიშვილი, სუმოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი თენგიზ რუხაძე, ავთანდილ ცერცვაძე და ნიკოლოზ სისვაძე.

◎ რაგბი

აპენინელებმა გვაჯობეს

საქართველო-მზარდი იტალია 10:26

საქართველო: აფციაური, მ. გიორგაძე, ტალახაძე (წიკლაური 60), მჭედლიძე, ი. ხუციშვილი, მალაღურაძე (ფრუიძე 10), ნ. ხუციშვილი (ბეგაძე 59), ფეიქრიშვილი (ბუჯიაშვილი 55), მაისურაძე (ბრეგვაძე 55), მირცხულავა (ხატიაშვილი 55) დათუნაშვილი (მიქაუტაძე 65), ჩხაიძე, შუბითიძე (ო. გიორგაძე 70), გორგაძე, ბიწაძე.

მზარდი იტალია: კიეზა, გვარდუჩი, ბენვენუტი, კვარტაროლი, დი ჯულიო, კანა, მარინარო (პარიზოტო 69). ძანი (ნაკა 58), ფაბიანი (ბიჯი 68), დი სტეფანო (ჩეკარელი), რუძა (ამნეტა 72), ჯეროზა, ნეგრი, კაფინი, მბანდა.

მსაჯი: მორის ვან დერ ვესტჰოიზენი (სამხრეთი აფრიკა).

„თბილისის თასის“ გათამაშების მეორე ტურში საქართველოს ნაკრები მზარდ იტალიას გადახალისებული შემადგენლობით დაუპირისპირდა. „ბორჯღალოსნების“ მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა ამ შეხვედრაში საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გამოსცადა, რომლებმაც აპენინელებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მასპინძლების თამაშს დაღი იმანაც დაასვა, რომ ტრავმის გამო მე-10 წუთზე გამოცდილი მგეზავი ლაშა მალაღურაძე შეცვალეს.

მატჩის პირველი ნახევარი ფრედ – 3:3 დასრულდა. არადა, ჩვენებმა ორი საჯარიმო ვერ გამოიყენეს. შესვენების შემდეგ თამაშის სადავეები ხელთ იგდეს იტალიელებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს კიდეც – 26:10. მეორე ტურის მეორე პაექრობაში მზარდმა ირლანდიამ ურუგვაის აჯობა – 33:7.

სატურნირო მდგომარეობა: 1. მზარდი ირლანდია (10 ქულა), 2. მზარდი იტალია (4), 3. საქართველო (4), 4. ურუგვაი (0).

III ტურში ითამაშებენ: საქართველო-მზ. ირლანდია, ურუგვაი-მზ. იტალია.

თამაზ პატარაია

◎ ხელბურთი

ოზურგეთში ემზადებიან, გიოტებორგში იასპარეზებენ

საქართველოს 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები (**ზურაბ ცინცაძე** – 1996, „პეგასი“, **ირაკლი ხიდეშელი** – 1996, „თუთუნსფორი“, თურქეთი, **ჯაბა ხაჟომია** – 1996, „სამტრედია“, **გიგა კოხრეიძე** – 1996, „პეგასი“, **ვეფხია ზურაბიანი** – 1997, „სამტრედია“, **ამირან აბჟანდაძე** – 1996, „პეგასი“, **თემურ ორჯონიკიძე** – 1996, სტუ, **გივი გიორგაძე** – 1996, „პეგასი“, **ალექსანდრე ცხვარაშვილი** – 1996, „პეგასი“, **თორნიკე მაისაშვილი** – 1996, სტუ, **გიორგი დიხამინჯია** – 1997, „პეგასი“, **ირაკლი გოგოლაძე** – 1996, სტუ, **კარლო მათნაძე** – 1997, „ქუთაისი“, **მიხეილ ნაზღაიძე** – 1998, „პეგასი“, **გიორგი დოლმაზაშვილი** – 1998, „ყვარელი“) ტიტე კალანდაძისა და გიორგი სახვაძის ხელმძღვანელობით ოზურგეთში მონდომებით ემზადება ევროპის ღია პირველობისთვის, რომელსაც ივნისის მიწურულსა და ივლისის დასაწყისში შვედეთი უმასპინძლებს. ეს შეჯიბრება არაა ევროპის ოფიციალური ასპარეზობა, მაგრამ სახელბურთო ფესტივალის - პარტილეს თასის ნაწილია და მასში 16 ქვეყანა მონაწილეობს (მათ შორის - საქართველო). ისინი წილისყრით ოთხ ჯგუფში ასე გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: ესპანეთი, სლოვაკეთი, ავსტრია, მოლდოვა.

B ჯგუფი: შვედეთი, რუმინეთი, ესტონეთი, კოსოვო.

C ჯგუფი: ისლანდია, პორტუგალია, ფინეთი, საქართველო.

D ჯგუფი: რუსეთი, ჩეხეთი, ჰოლანდია, ფარერები.

კალანდაძისა და სახვაძის შეგირდები 29 ივნისს პორტუგალიასა და ისლანდიას დაუპირისპირდებიან, მეორე დღეს კი ფინეთს ეთამაშებიან. მედლებისთვის ბრძოლას ჯგუფებიდან 2-2 საუკეთესო გუნდი განაგრძობს, ხოლო ფინალი 3 ივლისს გაიმართება.

გივი გაგუა

სურათზე: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები.

◎ 50 წლის შემდეგ თქმული

ჩემი დაუვიწყარი მასწავლებელი

როდესაც სოფელ შეუბნის სკოლიდან ქ. ონის მეორე საშუალო სკოლაში განვაგრძე სწავლა, იქ დირექტორად მუშაობდა ელენე ფარჯანაძე, ის ქართულ ლიტერატურას გვასწავლიდა. მის გამჭრიახ გონებას უმალვე შეუნიშნავს ჩემი ფიზიკური, ეკონომიკური და, საერთოდ ოჯახური სისუსტე. გამოუკითხავს, ვინ არის ეს ბავშვი, ვისია, სად ცხოვრობს, ვამჩნევ, რომ ბავშვებში დაჩაგრულად გრძნობს თავსო. უთქვამთ ყველაფერი ჩემს შესახებ. იმ ხანად ისე გვიჭირდა, რომ იატაკზე მეძინა. მოულაპარაკებია პედკოლექტივთან და სასკოლო ნაკვეთის შემოსავლებიდან 30 მანეთით დამეხმარა. იმ 30 მანეთით ვიყიდე საწოლი, რომელშიც დღესაც მძინავს და ამ საწოლზე უნდა დავლიო სული. 1960 წელს ქალბატონმა ელენე ფარჯანაძემ ამაგდარი სკოლა დატოვა და თბილისში წამოვიდა საცხოვრებლად. გარდაიცვალა 10-12 წლის წინათ. დღესაც ვწუხვარ მის ამქვეყნიდან წასვლას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

აკაკის „გამზრდელს“
ვკითხულობ,
ჩემი გამზრდელი მიქია,
ელენე ფარჯანაძისა სახელი
ონში მითია,
„ვეფხისტყაოსანს“ ზეპირად
მეტყოდა, წყაროდ მისვია,
ღმერთმა რომ ცად წაიყვანა,
მნათობად დასვა, ღირსია.
ქვეყნად სიკეთის მთესველი
ყველა სიკეთის ღირსია,
ღვთისათვის კარგი ვაკეთოთ
ეს არის ჩვენი მისია.
ოქრო მიწაში დაფლული
ჩვენი კი არა, სხვისია,
ორმოცდაათი წლის შემდეგ
ქება-დიდება მითქვია.

ზაალ ჩიკვილაძე



წყნეთის სახანძრო სამაშველო განყოფილების თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, სიკეთითა და ერთგულებით გამორჩეული კაცური კაცის, ვაკე-საბურთალოს რაიონის მეხანძრე-მაშველის

ზურა მაზმიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

◎ კრიმინალი

რუსთავში ჩვილი ბავშვებით ვაჭრობდნენ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფაქტზე „რუსთავის სამშობიარო სახლის“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე ბარავკოვი, მისი მოადგილე კონსტანტინე მანჯავიძე და „ახალი სამშობიარო ცენტრის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მზია უგრეხელიძე დაკავა. დაკავებული სამი ბრალდებულის გარდა, სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული დანაშაულში მონაწილე 6 პირი.

გამოძიების ინფორმაციის მიხედვით, ბრალდებულებმა განიზრახეს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით ჩვილი ბავშვებით ვაჭრობა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, აღნიშნული პირები სამშობიაროში კონსულტაციაზე მისულ ფეხმძიმე ქალბატონებს სთავაზობდნენ თანხის სანაცვლოდ ახალშობილი ბავშვის მიტოვებას, რომლის გასხვისებასაც შემდგომ თავად უზრუნველყოფდნენ.

საგამოძიებო სამსახურმა აღნიშნული პირების მონაწილეობით გამოავლინა ჩვილი ბავშვებით ვაჭრობის ორი ფაქტი, რა დროსაც ბრალდებულებმა ერთ შემთხვევაში აიღეს 3 000 ლარი, ხოლო მეორე შემთხვევაში — 5 000 დოლარი.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 1432-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე ვადით.

◎ ინფორმაცია

ქუთაისში მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს

56 წლის ლევან აბზიანიძე რუსთაველის გამზირზე მდებარე სკვერში ოთხშაბათ ღამით გარდაცვლილი ნახეს.

როგორც გარდაცვლილის ახლობლებმა განაცხადეს, მამაკაცი სამართალდამცველებმა პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, იქ კი დიდი რაოდენობით შარდმდენი აბები დაალევინეს, რის შედეგად ის გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ლევან აბზიანიძის ნარკოლოგიური შემოწმების ფაქტს ადასტურებენ, თუმცა, პრეპარატის მიღების ფაქტს უარყოფენ.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, საქმეზე ძიება 115-ე მუხლით არის აღძრული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
29 3-37-87; 568 82-09-84..

◎ თუ ფული გაქვს

სად ღირს ყველაზე ძვირი მსოფლიოში არდადეგების გატარება?

გამოცემა harpersbazaar **იმ ყველაზე ძვირად ღირებული საინტერესო ადგილების რეიტინგს აქვეყნებს, რომელთა მონახულებაც ტურისტებს ათობით ათასი დოლარი დაუჯდებათ.**

ინდოეთის სასახლეების მონახულება

ამ ტურის ფარგლებში ტურისტებს შეუძლიათ, მოინახულონ ინდოეთის ყველაზე მდიდრული სამი სასახლე — ტბის სასახლე უდაიპურში, უმაიდის სასახლე ჯოდპურში და რამბას სასახლე ჯაიპურში და თითოეულ სასახლეში სამი დაუვიწყარი ღამე გაატარონ. თუმცა, ეს სიამოვნება მათ დაახლოებით 1 670 200 დოლარი დაუჯდებათ.

სასტუმროების ჯგუფი AMAN RESORTS

ჯგუფი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, იაპონიაში, ამერიკაში, საფრანგეთში, ინდოეთში, ტაილანდში, რამდენიმე ძვირად ღირებულ სასტუმროს ფლობს. ეგზოტიკური დასვენების მოყვარულებს Aman Resorts მის მფლობელობაში არსებულ 31 სასტუმროში ერთწლიან დასვენებას სთავაზობს, რაც დაახლოებით თითო სასტუმროში 10-12 ღამით გაჩერებას ნიშნავს. ერთწლიანი სრული პაკეტის ღირებულება 286 ათასი დოლარიდან იწყება.



სათხილამურო კურორტი შვეიცარიაში

ყველამ იცის, რომ ზოგადად შვეიცარიის ალპებში განთავსებული კურორტები საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, თუმცა, შვეიცარიის პატარა სოფელ გშტადში განთავსებული შალე ლოტი ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებულია. შალეს საკუთარი კინოთეატრი და საუნა აქვს, სურვილის შემთხვევაში კი პირადი შეფ-მზარეული მოგემსახურებათ. ლოტიში დასვენება ერთი კვირის განმავლობაში დაახლოებით 55 ათასი დოლარი დაგიჯდებათ.

DUNTON HOT SPRINGS, კოლორადო

კოლორადოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მთებში განთავსებული სოფელი Dunton Hot Springs ჩასულ ტურისტებს თერმულ წყლებს, ორიგინალურ სალონებსა და ხის კაბინებს სთავაზობს, სადაც მშვიდ ვითარებაში დასვენების მსურველებს განმარტოება შეუძლიათ. Dunton Hot Springs-ის ექსკლუზიურად დაქირავება ერთი კვირის განმავლობაში 147 000 დოლარი დაგიჯდებათ.

კუნძულის დაქირავება კარიბის ზღვაში

ცნობილი ილუზიონისტი დევიდ კოპერფილდი ბაჰამაში ერთ-ერთი თვალწარმტაცი კუნძულის მაშა კეის მფლობელია, რომელსაც ხშირად აქირავებს ტურისტებზე. კუნძულის დაქირავება შვიდი დღის განმავლობაში 402 ათასი დოლარის სანაცვლოდ არის შესაძლებელი.

მსოფლიოს საოცარი ადგილების მონახულება კერძო თვითმფრინავით

კერძო თვითმფრინავით მსოფლიოს უამრავი ქვეყნის მონახულება 28 დღის განმავლობაში ერთ ადამიანზე 108 500 დოლარი დაგიჯდებათ. ტურის ავტორები მსურველებს მსოფლიოს ყველა მთავარი ღირსშესანიშნაობების მონახულებას სთავაზობენ.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ქართული თხილი სიო-2000“-ის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ქართული თხილი სიო-2000“ (ს/კ 237081518), მის: ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხი №6;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხი №6 (საკადასტრო კოდი: 26.26.57.031), 2664.00კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებთან ერთად.

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 183358,42 ლარი. რეალიზაციის ფასი მოიცავს დღგ-ს;

3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 1 ივლისი, 11:30 საათი;

4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №

5. **მოვალეები:**
შპს „ქართული თხილი სიო-2000“ (ს/კ 237081518), მის: ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის მე-3 ჩიხი №6;
ლევან თოიძე (პ/ნ 01009009523), მის: ოზურგეთი, ს. ჟორჟოლიანის ქ. №24;
თეიმურაზ სიორიძე (პ/ნ 33001007353) მის: ოზურგეთი, სოფელი კონჭკათი.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31;

7. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 1 ივლისის, 11:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

◎ გმირები

სხვათა გადასარჩენად სასწორზე შემოდებული სიცოცხლე

მაშველთა საქმიანობაზე ბევრი რამ გვსმენია. მათი თავდადებისა და პროფესიონალიზმის შედეგებიც ცხადია — ასობით გადარჩენილი სიცოცხლე მთასა თუ ბარში, ბუნებრივი სტიქიური უბედურების დროს, თუ ხანძართან ბრძოლისას. მართლაც რომ, მხსნელები არიან გაჭირვებაში ჩავარდნილთათვის. მათი საგმირო საქმეები ხშირადაც გაშუქებულია, უფრო მეტად მოკრძალებულად, რადგან თავადაც თვლიან, რომ სწორედ იმისთვის ემსახურებიან ხალხს, რომ გამოუვალი მდგომარეობიდან იხსნან ისინი, აქ კი თვითრეკლამას ერიდებიან. მაგრამ რაც მაშველთა მხრებზე გადაიარა 13-14 ივნისის სტიქიამ, ეს არა მარტო აღსანიშნავი და დასაფასებელი, არამედ თაობებისთვისაც გადასაცემია, როგორც მაგალითი ვაჟკაცობისა და თავდადებისა. მათ მიერ ასობით გადარჩენილი სიცოცხლე არამარტო დედაქალაქში — სტიქიური უბედურების ეპიცენტრში, არამედ წყნეთში, ბეთანიასა და ახალდაბაში. რომ არა მათი გმირობა, მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა. ამიტომაც მადლობის მეტი რა გვეთქმის ჩვენ, სტიქიისგან დაზარალებულ ხალხს მათ მიმართ. ეს ის ვაჟკაცი ბიჭები არიან, რომლებიც წყნეთის სახანძრო-სამაშველო განყოფილებაში მუშაობენ — ათმეთაური **ზურაბ ლაღიძე,** გათვლის უფროსი **თეიმურაზ ლაღიძე,** მეხანძრე-მაშველები **ჯემალ ქამხაძე, ვახტანგ სულაძე, ვახტანგ შენგელია, კახაბერ როხვაძე.** ჩვენი სიცოცხლით ვალში ვართ მათთან. ამავდროულად სამძიმარი გვინდა გამოვუცხადოთ ამ გმირი ბიჭების თანამებრძოლის **ზურა მაზმიშვილის** ოჯახსა და ახლობლებს. სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად ზურამ თავისი სიცოცხლე გასწირა და ტრაგიკულად შეეწირა სტიქიას. ქედს ვიხრით თქვენი გმირობის წინაშე.

მადლიერი მოქალაქეები

ლეო ანთაძის შემოქმედებითი საღამო



კახეთის გუბერნატორის ირაკლი შიოლაშვილის თაოსნობით მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის ლეო ანთაძის შემოქმედებითი საღამოები გაიმართა კახეთის ყველა რაიონში. ერთი კვირის განმავლობაში თეატრის მოყვარულებს საშუალება ჰქონდათ, უფასოდ დასწრებოდნენ მის წარმოდგენებს. დედოფლისწყაროს კულტურის სახლის დარბაზში სრული ანშლაგი იყო. მსახიობი მონოსპექტაკლით (ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონი“) წარსდგა მაყურებლის წინაშე, ასევე შეასრულა ზურიკელას როლი ნოდარ დუმბაძის სპექტაკლიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. 80 წლის მსახიობი, რომელსაც 60 წლის მანძილზე არაერთი როლი აქვს განსახიერებული, როგორც თეატრში ისე კინოში, დღესაც ძველებურად იპყრობს მაყურებლის გულს. დედოფლისწყაროელებმა ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს საყვარელი მსახიობი.

ნანა ჭიჭინაძე

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

იყიდება

დედოფლისწყაროში ორსართულიანი წითელი აგურით ნაშენი, თუნუქით დახურული სახლი ეზოთი. 12 ოთახი, სველი წერტილებით, სათავსოებით, ბუხრებით, თანამედროვე რემონტით. ხეხილით გაშენებული ეზოს საერთო ფართი 9 ათასი კვ. მ. შესანიშნავი ხედით. ბუნებრივი აირი და წყალი მუდმივად. ოთახების განლაგება საშუალებას იძლევა სახლი გადაკეთდეს სასტუმროდ. ფასი შეთანხმებით.
ტელ. 223296. 599 357 697. 514 333 324.

◎ ციცინცხალი ანეკდოტები

— **ზედმეტი** წონა არ გაწუხებს?
— იგი ჩემთვის ზედმეტი კი არა, სათადარიგო წონაა.

* * *

— **შენს** თავს არავის არ დავუთმობ, — ეუბნება ქმარი ცოლს.
— მე თვითონ წავალ, რო?

* * *

ორმა ტიპმა ორი მონაზონი დაიჭირა და აუპატიურებს.
— ღმერთო, შეუნდე ამ ცოდვილებს, რადგან არ იციან, რას აკეთებენ... — ლოცულობს ერთი მონაზონი.
— შენი არ ვიცი, როგორია, ჩემმა კი ნალდად იცის თავისი საქმე, — უპასუხებს მეორე.

* * *

— **ვხედავ,** რომ სერიოზული და ძველი სატკივარი გაწუხებთ, რაც ძალიან გიწამლავთ სიცოცხლეს, — ეუბნება „სასწრაფოს“ ექიმი პაციენტს გასინჯვისას.
— ექიმო, ღვთის გულისათვის, ჩუმად ილაპარაკეთ, ჩემი ცოლი გვერდით ოთახში ზის.

* * *

ჭკვიანი მაშინლა ალაპარაკდება, როცა ბრიყვი გაჩუმდება, მაგრამ მდუმარე ბრიყვები არ არსებობენ.

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24